

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის

ბრძანება №52/ნ
2014 წლის 13 მაისი

ქ. თბილისი

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის რეორგანიზაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 4 აპრილის №272 დადგენილებისა და საქართველოს მთავრობის 2004 წლის 21 მაისის №37 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულების“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „მ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ვბრძანებ:

მუხლი 1

დამტკიცდეს „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდება“ ამ ბრძანების დანართის შესაბამისად.

მუხლი 2

ძალადაკარგულად გამოცხადდეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №130/ნ ბრძანება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“.

მუხლი 3

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს განათლებისა და
მეცნიერების მინისტრი

თამარ სანიკიძე

დანართი

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდება

თავი I

ზოგადი დებულებები

მუხლი 1. უნივერსიტეტის საქმიანობის საფუძვლები

1. საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი (შემდგომში - უნივერსიტეტი) ავტონომიური დაწესებულებაა, რომლის ძირითად მიზანს წარმოადგენს უმაღლესი საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განხორციელება. იგი ახორციელებს აკადემიური უმაღლესი განათლების ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამებს, ასევე ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამას, მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამას და პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს.

2. უნივერსიტეტის საქმიანობა ეფუძნება საქართველოს კონსტიტუციას, საერთაშორისო სამართლებრივ ნორმებს, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონს, საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მოთხოვნებსა და ამ წესდებას.

3. უნივერსიტეტის სრული სახელწოდებაა: საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი. შემოკლებული სახელწოდებაა: „სჯსუ“; ინგლისური სახელწოდებაა: Legal entity of public law - samtske-javakheti state university., შემოკლებული სახელწოდებაა „Sjsu“.

4. უნივერსიტეტს აქვს საანგარიშსწორებო და სავალუტო ანგარიშები საბანკო დაწესებულებაში, ლოგო, უნივერსიტეტის მედალი, უნივერსიტეტის დროშა, კანონმდებლობით დადგენილი ფორმის მრგვალი ბეჭედი,



შტამპი და იურიდიული პირისათვის დადგენილი სხვა ატრიბუტიკა.

5. უნივერსიტეტში სწავლების ენა არის ქართული (სხვა ენაზე სწავლება, გარდა ინდივიდუალური სასწავლო კურსებისა, დაშვებულია, თუ ეს გათვალისწინებულია საერთაშორისო ხელშეკრულებით ან შეთანხმებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან).

6. უნივერსიტეტი საკუთარი სახელით იძენს უფლებებსა და მოვალეობებს, დებს გარიგებებს და შეუძლია სასამართლოში გამოვიდეს მოსარჩელედ და მოპასუხედ.

7. უნივერსიტეტი თავისი მიზნებიდან გამომდინარე, მოქმედებს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე და მის ფარგლებს გარეთ.

8. უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მისამართია: ქ. ახალციხე, რუსთაველის ქ. №106.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 10 მარტის ბრძანება №41/ნ - ვებგვერდი, 13.03.2017წ.

მუხლი 2. უნივერსიტეტის მიზნები და საქმიანობა

1. უნივერსიტეტის ძირითადი მიზნებია:

ა) ქართული და მსოფლიო კულტურის ღირებულებების ჩამოყალიბების ხელშეწყობა, დემოკრატიისა და ჰუმანიზმის იდეალებზე ორიენტირება;

ბ) პიროვნების ინტერესებისა და შესაძლებლობების შესატყვისი უმაღლესი განათლების მიღების, კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება;

გ) პიროვნული პოტენციალის რეალიზება, შემოქმედებითი უნარ-ჩვევების განვითარება, თანამედროვე მოთხოვნების შესატყვისი კომპეტენციის მქონე პირების მომზადება, შიდა და საგარეო შრომის ბაზარზე უმაღლესი განათლების მქონე პირთა კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფა, სტუდენტთა და ფართო საზოგადოების მოთხოვნათა შესაბამისი მაღალი ხარისხის უმაღლესი განათლების შეთავაზება და ინტერესებული პირებისათვის;

დ) საუნივერსიტეტო განათლებისა და კვლევითი პოტენციალის განვითარება;

ე) უნივერსიტეტში აკადემიური უმაღლესი განათლების – ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სწავლების ციკლის, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, უწყვეტი განათლების, სხვა საგანმანათლებლო პროგრამების, მაღალი ტექნოლოგიებისა და თანამედროვე ექსპერიმენტების განხორციელება, ინოვაციური სწავლებით საუნივერსიტეტო ტრადიციების განვითარება;

ვ) უნივერსიტეტის ინტეგრაცია ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში;

ზ) საქართველოსა და უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება;

თ) სტუდენტზე ორიენტირებული საუნივერსიტეტო გარემოს შექმნა;

ი) პერსონალის პროფესიული განვითარება;

კ) აკადემიური თავისუფლების დაცვა;

ლ) სტუდენტისა და აკადემიური პერსონალის პიროვნულ და პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა;

მ) ცოდნის გენერირება და გადაცემა, კონკურენტუნარიანი კადრების მომზადება;

ნ) უნივერსიტეტის სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის მობილობის წახალისება.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად უნივერსიტეტი:

ა) ამზადებს პიროვნებას ისეთი პროფესიული მოღვაწეობისათვის, რომელიც მოითხოვს აკადემიური და სამეცნიერო ცოდნის გამოყენებას;



- ბ) ზრუნავს თავისი პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებაზე;
- გ) ხელს უწყობს სტუდენტთა სოციალური პრობლემების გაუმჯობესებას;
- დ) ზრუნავს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სტუდენტთათვის სწავლის პრობლემების შესაქმნელად;
- ე) თანამშრომლობს საქართველოს სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან;
- ვ) ხელს უწყობს საერთაშორისო თანამშრომლობას და უცხოეთის შესაბამის საგანმანათლებლო დაწესებულებებთან სტუდენტთა და პროფესორთა ურთიერთგაცვლას;
- ზ) დადგენილი წესით მონაწილეობს სახელმწიფო ან/და სხვა სახის პროგრამების განხორციელებაში;
- თ) ემსახურება მეცნიერების განვითარებას სწავლის, სწავლებისა და პროფესიული განვითარების მეშვეობით თავისუფალ, დემოკრატიულ და სოციალურ სამართლებრივ გარემოში;
- ი) ანიჭებს შესაბამის აკადემიურ ხარისხს და კვალიფიკაციას;
- კ) უზრუნველყოფს სხვა ისეთი პრობლემების შექმნას, რომლებიც ხელს შეუწყობს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მიზნების განხორციელებას;
- ლ) ახორციელებს კანონმდებლობით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

მუხლი 3. უნივერსიტეტის სტატუსი და სახელმწიფო კონტროლი

უნივერსიტეტი დაფუძნებულია საჯარო სამართლის იურიდიული პირის სამართლებრივი ფორმით, რომლის საქმიანობაზე სახელმწიფო კონტროლს, ამ წესდებითა და კანონმდებლობით დადგენილი წესით, ახორციელებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო.

თავი II სტრუქტურა და მართვა

მუხლი 4. უნივერსიტეტის სტრუქტურა

1. სტრუქტურა:

- ა) ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულები (შემდგომში – ფაკულტეტები):
 - ა.ა) განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი;
 - ა.ბ) ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტი;
 - ა.გ) იურიდიული ფაკულტეტი;
 - ა.დ) ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი.
- ბ) სამეცნიერო ბიბლიოთეკა.
- გ) დამხმარე სტრუქტურული ერთეულები:
 - გ.ა) რექტორის აპარატი;
 - გ.ბ) ადმინისტრაციის ხელმძღვანელის აპარატი;
 - გ.გ) კანცელარია;
 - გ.დ) ფინანსური დაგეგმარების და შესყიდვების სამსახური;
 - გ.ე) აღრიცხვა-ანგარიშგების სამსახური;
 - გ.ვ) ინფრასტრუქტურისა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსების მართვის სამსახური;
 - გ.ზ) ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება;



გ.თ) ინფორმაციული ტექნოლოგიების განყოფილება;

გ.ი) არქივი;

გ.კ) საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება;

გ.ლ) კულტურისა და სპორტის განყოფილება;

გ.მ) სასწავლო პროცესის მართვის განყოფილება;

გ.ნ) გამომცემლობა;

გ.ო) გაზეთის რედაქცია;

გ.პ) უნივერსიტეტის მუზეუმი;

გ.ჟ) მართვის ორგანოების სამდივნოები.

2. უნივერსიტეტის ძირითადი საგანმანათლებლო და დამხმარე სტრუქტურული ერთეულების კომპეტენცია და საქმიანობის წესი რეგულირდება ამ წესდებით დადგენილი წესით დამტკიცებული შესაბამისი დებულებებით.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 10 მარტის ბრძანება №41/ნ - ვებგვერდი, 13.03.2017წ.

მუხლი 5. უნივერსიტეტის მართვა

1. უნივერსიტეტის მართვის ორგანოებია (მმართველი სუბიექტებია):

ა) აკადემიური საბჭო;

ბ) წარმომადგენლობითი საბჭო;

გ) რექტორი;

დ) ადმინისტრაციის ხელმძღვანელი (კანცლერი);

ე) ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

2. ფაკულტეტის მართვის ორგანოებია:

ა) ფაკულტეტის საბჭო;

ბ) დეკანი;

გ) ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

მუხლი 6. უნივერსიტეტის მართვის პრინციპები

1. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს:

ა) უნივერსიტეტის გადაწყვეტილებების, მართვის ორგანოების ანგარიშებისა და სამართლებრივი აქტების საჯაროობასა და ხელმისაწვდომობას ყველა დაინტერესებული პირისათვის;

ბ) აკადემიური პერსონალისა და სტუდენტთა აკადემიურ თავისუფლებას;

გ) აკადემიური პერსონალისა და სტუდენტთა მონაწილეობას გადაწყვეტილებების მიღებასა და მათი შესრულების კონტროლის პროცესში;

დ) თანასწორ მოპყრობას განურჩევლად პირის ეთნიკური კუთვნილებისა, სქესისა, სოციალური წარმოშობისა, პოლიტიკური და რელიგიური შეხედულებებისა და სხვა;

ე) უნივერსიტეტში არჩევნების სამართლიანობასა და გამჭვირვალობას, კონკურსების საჯაროობას.

2. უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების დებულებებით არ შეიძლება დადგინდეს ამ პრინციპების



შემზღუდავი ნორმები.

მუხლი 7. აკადემიური საბჭო

1. უნივერსიტეტის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოა აკადემიური საბჭო, რომლის წევრებიც აირჩევიან უნივერსიტეტის ფაკულტეტების აკადემიური პერსონალის ყველა წევრისა და ფაკულტეტის საბჭოს წევრ სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენლების მიერ უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესით პირდაპირი, თავისუფალი და თანასწორი არჩევნების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით.

2. აკადემიური საბჭოს წევრი აირჩევა 4 წლის ვადით.

3. უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოში თითოეულ ფაკულტეტს ჰყავს 2 წარმომადგენელი.

4. აკადემიური საბჭოს წევრად აირჩევა პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი. აკადემიური საბჭოს წევრად პირი შეიძლება არჩეულ იქნეს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ.

5. აკადემიური საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საფუძველებია:

ა) უნივერსიტეტთან მისი შესაბამისი შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა;

ბ) სასამართლოს მიერ შეზღუდულქმედუნარიანად აღიარება ან მხარდაჭერის მიძღვრება ცნობა, თუ სასამართლოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული;

გ) კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი;

დ) სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში აკადემიური ან ადმინისტრაციული თანამდებობის დაკავება;

ე) კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევა.

6. აკადემიურ საბჭოში არჩეული ფაკულტეტის წარმომადგენლების შემადგენლობა ექვემდებარება ერთი მესამედით განახლებას ძირითადი საგანმანათლებლო საფეხურის დადგენილი ხანგრძლივობის ნახევრის (2 წელი) გასვლის შემდეგ.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 10 მარტის ბრძანება №41/ნ - ვებგვერდი, 13.03.2017წ.

მუხლი 8. უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს უფლებამოსილება

1. კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად, ამ წესდებით განსაზღვრული მიზნების განსახორციელებლად, აკადემიური საბჭო:

ა) შეიმუშავებს და ამტკიცებს უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგიულ გეგმას;

ბ) ფაკულტეტის წარდგინებით ამტკიცებს საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით პროგრამებს;

გ) ხელს უწყობს უმაღლესი განათლების ევროპულ სივრცეში ინტეგრაციას, სასწავლო გეგმებისა და პროგრამების უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის თანამშრომლობის, მობილობისა და ინტეგრირებული სწავლების პროგრამების შექმნას;

დ) თავისუფალი და თანასწორი არჩევნების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს აკადემიური საბჭოს თავმჯდომარეს – რექტორს;

დ¹) უფლებამოსილია რექტორის ვერარჩევის შემთხვევაში, მოქმედი რექტორის უფლებამოსილების გასვლიდან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ახალი რექტორის არჩევამდე, ფარული კენჭისყრით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით დანიშნოს რექტორის მოვალეობის შემსრულებელი;

ე) წარმომადგენლობით საბჭოს სიითი შემადგენლობის უმრავლესობით წარუდგენს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის კონკურსის საფუძველზე შერჩეულ კანდიდატურას;

ვ) წარმომადგენლობით საბჭოს სიითი შემადგენლობის უმრავლესობით წარუდგენს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის მოტივირებულ წინადადებას;

ზ) წარმომადგენლობით საბჭოს წარუდგენს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ახალ კანდიდატურას ადმინისტრაციის ხელმძღვანელის უფლებამოსილების შეწყვეტიდან ერთი თვის ვადაში;



თ) მონაწილეობს უნივერსიტეტის წესდების, სტრუქტურული ერთეულების დებულებების, ბიუჯეტისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წლიური ანგარიშის წარმომადგენლობით საბჭოში განხილვაში;

ი) ფაკულტეტის საბჭოს წარდგინებით ამტკიცებს სადისერტაციო საბჭოს დებულებას;

კ) სასწავლო წლის დასაწყისში ამტკიცებს კოეფიციენტებს ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის, აგრეთვე ფაკულტეტებზე მისაღებ სტუდენტთა რაოდენობას ფაკულტეტების საბჭოების წარდგინებით;

ლ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით დადგენილი წესით ამტკიცებს სამაგისტრო გამოცდის კოეფიციენტებს სამაგისტრო გამოცდებისთვის, აგრეთვე ფაკულტეტებზე მისაღებ სტუდენტთა რაოდენობას ფაკულტეტების საბჭოების წარდგინებით;

მ) აწესებს მინიმალური კომპეტენციის ზღვარს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დამტკიცებული საერთაშორისო გამოცდების ჩამონათვალთ გათვალისწინებულ გამოცდაში ფაკულტეტების საბჭოების წარდგინებით;

ნ) ადგენს სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული კრედიტების აღიარების წესს;

ო) წარმომადგენლობით საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის კანდიდატურას;

პ) ადგენს აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების ერთიან წესს, შრომის ანაზღაურების ოდენობასა და პირობებს და დასამტკიცებლად წარუდგენს წარმომადგენლობით საბჭოს;

ჟ) განსაზღვრავს აკადემიური პერსონალის დატვირთვის ზღვრულ ოდენობას და დასამტკიცებლად წარუდგენს უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს;

რ) წლიურ ანგარიშს წარუდგენს წარმომადგენლობით საბჭოს;

ს) ირჩევს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ხელმძღვანელს;

ტ) უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარდგინებით ამტკიცებს სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შეფასების წესს;

უ) წელიწადში ერთხელ ისმენს რექტორის საქმიანობის ანგარიშს, ხოლო წელიწადში ორჯერ ისმენს დეკანების საქმიანობის ანგარიშს;

ფ) ახორციელებს ამ წესდებითა და საქართველოს კანონმდებლობით მასზე მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას.

2. აკადემიური საბჭო უფლებამოსილია, რექტორის მიერ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევის, რექტორისათვის დაკისრებული მოვალეობების არასათანადოდ შესრულების ან/და რექტორისათვის შეუფერებელი საქმიანობის განხორციელების საფუძველზე, აკადემიური საბჭოს წევრების არანაკლებ 1/3-ის მოთხოვნით განიხილოს რექტორის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხი. გადაწყვეტილება რექტორის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის თაობაზე მიიღება ფარული კენჭისყრით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით. რექტორი ამ პუნქტით გათვალისწინებულ კენჭისყრაში არ მონაწილეობს. ამ საკითხებზე მიღებული გადაწყვეტილებების გასაჩივრება არ იწვევს სადავო აქტის მოქმედების შეჩერებას.

3. აკადემიური საბჭოს სხდომა მოიწვევა რექტორის ინიციატივით ან აკადემიური საბჭოს წევრების არანაკლებ 1/3-ის მიერ. აკადემიური საბჭოს თავმჯდომარის არყოფნის ან დროებით არყოფნის შემთხვევაში აკადემიურ საბჭოს იწვევს და თავმჯდომარეობს აკადემიური საბჭოს უზუცესი წევრი.

4. რექტორს აკადემიური საბჭოს წევრობა უწყდება რექტორის უფლებამოსილების შეწყვეტის შემთხვევაში.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 5 ოქტომბრის ბრძანება №176/ნ - ვებგვერდი, 05.10.2017წ.

მუხლი 9. აკადემიური საბჭოს სხდომების ჩატარების წესი

1. ახლად არჩეული აკადემიური საბჭოს პირველ სხდომაზე არჩეულ წევრთა უფლებამოსილების



დადასტურება ხდება იგივე მოთხოვნების დაცვით, რაც დადგენილია უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა უფლებამოსილების ცნობისათვის.

2. აკადემიური საბჭოს მდივანი აირჩევა საბჭოს წევრთა შემადგენლობიდან, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, ღია კენჭისყრით.

3. აკადემიური საბჭოს თითოეული წევრი სარგებლობს ერთი ხმის უფლებით. სხდომაზე დაუსწრებლობის მიზეზი ეცნობება სხდომის თავმჯდომარეს წერილობით. საბჭოს წევრები სხდომაზე ცხადდებიან სპეციალური მოწვევის გარეშე. აკადემიური საბჭოს მუშაობის პერიოდში აკადემიური საბჭოს წევრს უფლება აქვს დადგენილი წესით მონაწილეობა მიიღოს ყველა იმ საკითხის განხილვაში, რომელიც აკადემიური საბჭოს განხილვის საგანია, გამოთქვას თავისი აზრი, დასვას შეკითხვები, ისარგებლოს კანონმდებლობითი და ამ წესდებით მინიჭებული სხვა უფლებამოსილებით.

4. სრული შემადგენლობის ხმათა უმრავლესობით აკადემიური საბჭო უფლებამოსილია, აკადემიური საბჭოს წევრთა მონაწილეობით შექმნას კონკრეტული საკითხების შემსწავლელი კომისიები, სამუშაო ჯგუფები. შესაძლებელია კომისიები და სამუშაო ჯგუფები შეიქმნას აკადემიური საბჭოს მიერ მოწვეული სპეციალისტების, ექსპერტების, საზოგადოებრიობის წარმომადგენლების, უნივერსიტეტის თანამშრომლების და სხვა დაინტერესებული პირების მონაწილეობით.

5. სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება აკადემიური საბჭოს წევრთა სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი. სხდომის გახსნისა და გადაწყვეტილებების მიღების წინ ხდება წევრთა რეგისტრაცია აკადემიური საბჭოს მდივანთან (რეგისტრაციის მონაცემები თან ერთვის სხდომის ოქმს და წარმოადგენს ოქმის განუყოფელ ნაწილს).

6. აკადემიური საბჭოს სხდომები შეიძლება იყოს დახურული.

7. აკადემიური საბჭოს მდივანი აკადემიური საბჭოს თავმჯდომარესთან შეთანხმებით, სხდომის ჩატარებამდე არანაკლებ სამი დღით ადრე (გარდა რიგგარეშე სხდომისა), ადგენს სხდომის დღის წესრიგს. დღის წესრიგს მიკუთვნებულ საკითხებთან ერთად მიეთითება მომხსენებელი პირი.

8. აკადემიური საბჭო უფლებამოსილია სხდომის მიმდინარეობის პროცედურულ საკითხებზე გადაწყვეტილებები მიიღოს ღია კენჭისყრით ან კენჭისყრის სხვა ფორმით, დამსწრეთა უმრავლესობით.

9. აკადემიური საბჭოს სხდომები ფორმდება ოქმით, რომლის რეგისტრაციის უწყვეტობას უზრუნველყოფს აკადემიური საბჭოს მდივანი. ოქმს თან ერთვის ყველა ის მასალა, რაც ამ სხდომის დღის წესრიგის მიხედვით განხილვის საგანს უკავშირდება. ოქმის ნამდვილობას ხელმოწერით ადასტურებენ სხდომის თავმჯდომარე და მდივანი. ოქმის ბოლო გვერდზე დაისმება უნივერსიტეტის ბეჭედი.

10. აკადემიური საბჭო უფლებამოსილია დადგენილების ფორმით მიიღოს გადაწყვეტილება ყველა იმ საკითხზე, რომელიც აკადემიური საბჭოს კომპეტენციას განეკუთვნება.

მუხლი 10. წარმომადგენლობითი საბჭო

1. უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოა წარმომადგენლობითი საბჭო, რომელიც აირჩევა უნივერსიტეტის ფაკულტეტებიდან წარმომადგენლობის საფუძველზე სტუდენტებისა და აკადემიურ პერსონალის მიერ ცალ-ცალკე, ფაკულტეტებზე მათი რაოდენობის პროპორციულად.

2. წარმომადგენლობითი საბჭოს არჩევა ხდება 4 წლის ვადით, საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი არჩევნების საფუძველზე ფარული კენჭისყრით.

3. წარმომადგენლობითი საბჭოს შემადგენლობა განისაზღვრება აკადემიური საბჭოს შემადგენლობის არანაკლებ ორმაგი ოდენობით. სტუდენტები შეადგენენ წარმომადგენლობითი საბჭოს სრული შემადგენლობის ერთ მესამედს. ასისტენტი არჩევნებში მონაწილეობს, როგორც სტუდენტი. სტუდენტთა რაოდენობის დასადგენად დამრგვალება ხორციელდება სტუდენტთა სასარგებლოდ.

4. წარმომადგენლობით საბჭოში შედის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის წარმომადგენელი.

5. პროფესორისა და სტუდენტისთვის წარმომადგენლობითი საბჭოს წევრის სტატუსის შეწყვეტის საფუძველია ამ უნივერსიტეტთან მისი შესაბამისი აკადემიური ან/და შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა.

6. წარმომადგენლობითი საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში წარმომადგენლობითი საბჭოს უფლებამოსილების დარჩენილი ვადით მისი წევრი ხდება კანდიდატი, რომელმაც შესაბამის არჩევნებში უფლებამოსილება შეწყვეტილი წევრის შემდეგ ხმების უმეტესი რაოდენობა



მოაგროვა. ასეთის არარსებობის შემთხვევაში არჩევნები ტარდება შესაბამისი წარმომადგენლის ასარჩევად იმავე ვადით.

7. წარმომადგენლობითი საბჭოს შემადგენლობაში არ შეიძლება არჩეულ იყვნენ ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის წარმომადგენლები, აგრეთვე აკადემიური საბჭოს წევრები.

მუხლი 11. წარმომადგენლობითი საბჭოს უფლებამოსილება

1. წარმომადგენლობითი საბჭო კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად, ამ წესდებით განსაზღვრული მიზნების განსახორციელებლად:

ა) შეიმუშავებს უნივერსიტეტის წესდებებს აკადემიური საბჭოს მონაწილეობით და დასამტკიცებლად წარუდგენს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს;

ბ) შეიმუშავებს და ამტკიცებს უნივერსიტეტის შინაგანაწესს, ეთიკის კოდექსსა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმებს;

გ) ამტკიცებს უნივერსიტეტის ბიუჯეტის შედგენის წესსა და სტრუქტურული ერთეულების დებულებებს;

დ) ირჩევს წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერს;

ე) ამტკიცებს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის კანდიდატურას აკადემიური საბჭოს წარდგინებით;

ვ) ამტკიცებს უნივერსიტეტის ბიუჯეტს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წარდგინებით;

ზ) ამტკიცებს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის სტრუქტურას ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წარდგინების საფუძველზე;

თ) ამტკიცებს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წლიურ ანგარიშს;

ი) აკადემიური საბჭოს მოტივირებული წინადადებით ან საკუთარი ინიციატივით უფლებამოსილია ვადამდე შეუწყვიტოს უფლებამოსილება ადმინისტრაციის ხელმძღვანელს;

კ) ამტკიცებს დამხმარე პერსონალის სამსახურში მიღების წესს, შრომის ანაზღაურების ოდენობასა და პირობებს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წარდგინებით;

ლ) ამტკიცებს აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესს, შრომის ანაზღაურების ოდენობასა და პირობებს აკადემიური საბჭოს წარდგინებით;

მ) ამტკიცებს აკადემიური პერსონალის დატვირთვის ზღვრულ ოდენობას უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წარდგინებით;

ნ) ამტკიცებს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს აკადემიური საბჭოს წარდგინებით;

ო) ახორციელებს ამ წესდებითა და საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

2. წარმომადგენლობითი საბჭო ბიუჯეტის დამტკიცების, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის არჩევისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ყოველწლიური ანგარიშის დასამტკიცებლად გადაწყვეტილებას იღებს წარმომადგენლობითი საბჭოს სიითი შემადგენლობის უმრავლესობით.

მუხლი 12. წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი

1. წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომების ჩატარებას ორგანიზებას უწევს და თავმჯდომარეობს სპიკერი, რომელსაც ირჩევს წარმომადგენლობითი საბჭო თავისი რიგებიდან 4 წლის ვადით, უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესით.

2. წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საფუძველებია:

ა) პირადი სურვილი;

ბ) მის მიმართ სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლა;

გ) გარდაცვალება;



დ) სასამართლოს მიერ შეზღუდულქმედუნარიანად აღიარება ან მხარდაჭერის მიმდებარე ცნობა, თუ სასამართლოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული;

ე) უნივერსიტეტის აკადემიური თანამდებობიდან გათავისუფლება.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 10 მარტის ბრძანება №41/ბ - ვებგვერდი, 13.03.2017წ.

მუხლი 13. წარმომადგენლობითი საბჭოს მუშაობის წესი

1. ახლად არჩეული წარმომადგენლობითი საბჭოს პირველ სხდომას თავმჯდომარეობს სხდომის უზუცესი წევრი;

2. ახლადარჩეული წარმომადგენლობითი საბჭოს პირველ სხდომაზე უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე საბჭოს მოახსენებს არჩევნების შედეგებს და სხდომის თავმჯდომარეს გადასცემს საბჭოს წევრთა უფლებამოსილების დამადასტურებელ საჭირო დოკუმენტაციას (საარჩევნო ოქმები, მასალები არჩევნების შედეგების, მისი მოწყობის სისწორის, შემოსული საჩივრების, განცხადებებისა და საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევის გამოვლენილი ფაქტების და სხვა საარჩევნო ინფორმაციის შესახებ).

3. სხდომის თავმჯდომარე სხდომის მონაწილეებს აცნობს საარჩევნო კომისიის მიერ წარმოდგენილ ინფორმაციას და დოკუმენტაციას.

4. წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა უფლებამოსილების დადასტურების თაობაზე საბჭოს დადგენილებაში შეიტანება ყველა ის პირი, რომლის არჩევა კანონიერად ჩათვალა უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიამ და დადასტურებულად მიიჩნია სხდომის მონაწილეთა სრული შემადგენლობის უმრავლესობამ.

5. თუ იმ პირთა რაოდენობა, რომლის უფლებამოსილებაც წარმომადგენლობითმა საბჭომ დაადასტურა, სრული შემადგენლობის ნახევარზე ნაკლებია, მაშინ სხდომა წყდება. ახლად არჩეული წარმომადგენლობითი საბჭოს მომდევნო სხდომას იწვევს უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე წარმომადგენლობითი საბჭოს სრული შემადგენლობის სულ ცოტა ნახევარზე მეტის არჩევიდან 10 დღის ვადაში.

6. წარმომადგენლობითი საბჭო თავისი შემადგენლობიდან ხმათა უმრავლესობით, ფარული კენჭისყრით ირჩევს წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერს. არჩეულად ჩაითვლება პირი, რომელსაც მხარს დაუჭერს საბჭოს სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. იმ შემთხვევაში, თუ პრეტენდენტი ორზე მეტია და ვერცერთმა ვერ დააგროვა ხმების საჭირო რაოდენობა, იმავე დღეს ორ საუკეთესო შედეგების მქონე პრეტენდენტს შორის გაიმართება განმეორებითი კენჭისყრა. თუ ამ შემთხვევაშიც ვერ გამოვლინდა გამარჯვებული, 5 დღის ვადაში იმართება წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომა და სპიკერის შერჩევის პროცედურა იმართება ხელახლა.

7. წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომა მოიწვევა სპიკერის ინიციატივით ან წარმომადგენლობითი საბჭოს წევრების არანაკლებ 1/3-ის მიერ.

8. წარმომადგენლობითი საბჭოს თითოეული წევრი სარგებლობს ერთი ხმით. სხდომაზე დაუსწრებლობის მიზეზი ეცნობება სხდომის თავმჯდომარეს წერილობით. საბჭოს წევრები სდომაზე ცხადდებიან სპეციალური მოწვევის გარეშე. წარმომადგენლობითი საბჭოს მუშაობის პერიოდში წევრს უფლება აქვს დადგენილი წესით მონაწილეობა მიიღოს ყველა იმ საკითხის განხილვაში, რომელიც წარმომადგენლობითი საბჭოს განხილვის საგანია, წამოაყენოს წინადადებები, შენიშვნები და შესწორებები განსახილველ საკითხზე. შესთავაზოს კანდიდატურები და გამოთქვას თავისი აზრი ასარჩევი, დასანიშნი ან წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ დასამტკიცებელი კანდიდატურების მიმართ, დასვას შეკითხვები, ისარგებლოს კანონმდებლობითი და ამ წესდებით მინიჭებული სხვა უფლებამოსილებით.

9. სრული შემადგენლობის უმრავლესობით წარმომადგენლობითი საბჭო უფლებამოსილია შექმნას კონკრეტული საკითხების შემსწავლელი კომისიები და/ან სამუშაო ჯგუფები, წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა მონაწილეობით. შესაძლებელია კომისიები და სამუშაო ჯგუფები შეიქმნას წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ მოწვეული სპეციალისტების, ექსპერტების, საზოგადოების წარმომადგენლების, უნივერსიტეტის თანამშრომელთა და სხვა დაინტერესებულ პირთა მონაწილეობით.

10. წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომების მოწვევას ორგანიზაციულად უზრუნველყოფს წარმომადგენლობითი საბჭოს მდივანი, რომელიც აირჩევა საბჭოს წევრთა შემადგენლობიდან.

11. სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი. სხდომის გახსნისა და გადაწყვეტილებების მიღების წინ ხდება წევრთა რეგისტრაცია



წარმომადგენლობითი საბჭოს მდივანთან. (რეგისტრაციის მონაცემები თან ერთვის სხდომის ოქმს და წარმოადგენს ოქმის განუყოფელ ნაწილს).

12. წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომები შეიძლება იყოს დახურული;

13. საკითხები, რომლებიც საიდუმლოების დაცვას საჭიროებენ, დამსწრეთა უმრავლესობით ცხადდება მთლიანად ან ნაწილობრივ დახურულად. დახურულ სხდომაზე დამსწრე პირთა წრეს განსაზღვრავს საბჭოს სპიკერი.

14. სხდომის დროს წევრები, მოწვეული პირები ვალდებული არიან დაიცვან დადგენილი ეთიკის ნორმები და სხვა მოთხოვნები.

15. სხდომაზე განსახილველი საკითხები დგინდება არანაკლებ სამი დღით ადრე (გარდა რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგისა), დღის წესრიგს მიკუთვნებულ საკითხებთან ერთად მიეთითება მომხსენებელი პირი.

16. წარმომადგენლობითი საბჭო უფლებამოსილია სხდომის მიმდინარეობის პროცედურულ საკითხებზე გადაწყვეტილებები მიიღოს ღია კენჭისყრით, დამსწრეთა უმრავლესობით.

17. წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომები ფორმდება ოქმით, რომლის რეგისტრაციის უწყვეტობას უზრუნველყოფს წარმომადგენლობითი საბჭოს სამდივნო. ოქმს თან ერთვის ყველა ის მასალა, რაც ამ სხდომის დღის წესრიგის მიხედვით განხილვის საგანს უკავშირდება. ოქმის ნამდვილობას ხელმოწერით ადასტურებენ წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი და მდივანი.

18. წარმომადგენლობითი საბჭო უფლებამოსილია დადგენილების ფორმით მიიღოს გადაწყვეტილება ყველა იმ საკითხზე, რომელიც წარმომადგენლობითი საბჭოს კომპეტენციას განეკუთვნება.

19. წარმომადგენლობითი საბჭო გადაწყვეტილებებს იღებს ხმათა უმრავლესობით, გარდა წესდებით განსაზღვრული შემთხვევებისა.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 10 მარტის ბრძანება №41/ნ - ვებგვერდი, 13.03.2017წ.

მუხლი 14. რექტორი

1. რექტორი არის უნივერსიტეტის ხელმძღვანელი, უმაღლესი აკადემიური თანამდებობის პირი, აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე და წარმოადგენს უნივერსიტეტს ქვეყნის შიგნითა და გარეთ აკადემიურსა და სამეცნიერო სფეროებში, რისთვისაც უფლებამოსილია, უნივერსიტეტის სახელით დადოს გარიგებები და შეთანხმებები. გარიგებებს და შეთანხმებებს, რომლებიც დაკავშირებულია ფინანსურ და ეკონომიკურ საკითხებთან, რექტორთან ერთად ხელს აწერს აგრეთვე ადმინისტრაციის ხელმძღვანელი.

2. რექტორს ირჩევს აკადემიური საბჭო ფარული კენჭისყრით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, 4 წლის ვადით. რექტორობის კანდიდატი შეიძლება იყოს პირი, რომელსაც აქვს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ადმინისტრაციულ, სასწავლო და სამეცნიერო სფეროში მუშაობის გამოცდილება.

3. რექტორის თანამდებობაზე ერთი და იგივე პირი შეიძლება არჩეულ იქნეს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ. პირმა, რომელსაც ეკავა ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობა, ამავე უნივერსიტეტის ხელმძღვანელის თანამდებობა შეიძლება დაიკავოს მხოლოდ მისი, როგორც ადმინისტრაციის ხელმძღვანელის, უფლებამოსილების შეწყვეტიდან ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ერთი უფლებამოსილების ვადის გასვლის შემდეგ.

4. რექტორის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატების რეგისტრაციის დაწყების შესახებ განცხადებას აკადემიური საბჭო აქვეყნებს კანდიდატების რეგისტრაციის დაწყებამდე არანაკლებ 1 თვით ადრე. გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპების დაცვით. განცხადებაში აღინიშნება კანდიდატების რეგისტრაციის დაწყების თარიღი, კანდიდატთა განცხადებების მიღების ბოლო ვადა და რექტორის არჩევნების ჩატარების თარიღი. რექტორის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატების რეგისტრაციის დაწყების შესახებ განცხადება უნდა განთავსდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე და რექტორობის კანდიდატების რეგისტრაციის შეწყვეტამდე განთავსდეს უნივერსიტეტში ყველაზე თვალსაჩინო ადგილებზე მისი საჯაროობისა და დაინტერესებულ პირთათვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით.

5. რექტორის არჩევნებამდე კანდიდატურის შერჩევისას აკადემიური საბჭო აფასებს თითოეული კანდიდატის



მიერ წარმოდგენილ სამოქმედო გეგმას.

6. კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხების მოწესრიგების მიზნით, რექტორი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს.

7. რექტორი უფლებამოსილია მის კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხების გადასაწყვეტად სათათბირო ორგანოს სახით შექმნას საკონსულტაციო საბჭოები და კომისიები, რომელთა საქმიანობა რეგულირდება რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

8. რექტორს ჰყავს მოადგილეები, რომელთა რაოდენობა განისაზღვრება უნივერსიტეტის სამტატო ნუსხით და მათი უფლებამოსილება რეგულირდება რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

9. დაუშვებელია რექტორის მოადგილისათვის უმაღლესი და პროფესიული განათლების დამადასტურებელ დოკუმენტზე ხელმოწერის უფლებამოსილების მინიჭება.

10. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რექტორის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში რექტორის მოვალეობის შემსრულებელს ირჩევს საარჩევნო კოლეგია, რომლის შემადგენლობაში შედის უნივერსიტეტის აკადემიური თანამდებობის მქონე ყველა პირი, რომელსაც აქვს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი.

მუხლი 15. ადმინისტრაციის ხელმძღვანელი

1. ადმინისტრაციის ხელმძღვანელი წარმოადგენს უნივერსიტეტს საფინანსო-ეკონომიკურ ურთიერთობებში. ერთი და იგივე პირი ადმინისტრაციის ხელმძღვანელად შეიძლება დაინიშნოს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ, რომლის უფლებამოსილების ვადა განისაზღვრება 4 წლით.

2. პირმა, რომელსაც ეკავა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ხელმძღვანელის თანამდებობა ამავე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობა შეიძლება დაიკავოს მხოლოდ მისი, როგორც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ხელმძღვანელის, უფლებამოსილების შეწყვეტიდან უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ხელმძღვანელის ერთი უფლებამოსილების ვადის გასვლის შემდეგ.

3. ადმინისტრაციის ხელმძღვანელს წარმომადგენლობითი საბჭო ამტკიცებს აკადემიური საბჭოს წარდგინებით, ფარული კენჭისყრით. ერთი და იმავე პირის კანდიდატურა აკადემიურმა საბჭომ წარმომადგენლობით საბჭოს შეიძლება წარუდგინოს მხოლოდ ორჯერ. წარმომადგენლობითი საბჭოს განმეორებითი უარის შემთხვევაში აკადემიური საბჭო წარადგენს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ახალ კანდიდატურას.

4. ადმინისტრაციის ხელმძღვანელზე ვრცელდება „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნები.

5. (ამოღებულია - 10.03.2017, №41/ნ).

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 10 მარტის ბრძანება №41/ნ - ვებგვერდი, 13.03.2017წ.

მუხლი 16. ადმინისტრაციის ხელმძღვანელის უფლებამოსილება

1. კანონმდებლობითა და წესდებით დადგენილი წესით ადმინისტრაციის ხელმძღვანელი:

ა) ხელმძღვანელობს უნივერსიტეტის ადმინისტრაციას;

ბ) უფლებამოსილია, უნივერსიტეტის სახელით, უნივერსიტეტის ბიუჯეტის შესაბამისად, დადოს ფინანსური და ეკონომიკური გარიგებები;

გ) ადგენს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის სტრუქტურის პროექტს და დასამტკიცებლად წარუდგენს წარმომადგენლობით საბჭოს;

დ) ადგენს დამხმარე პერსონალის სამსახურში მიღების ერთიანი წესის პროექტს, მისი შრომის ანაზღაურების ოდენობისა და პირობების პროექტს და დასამტკიცებლად წარუდგენს წარმომადგენლობით საბჭოს;

ე) ხელმძღვანელობს უნივერსიტეტის ფაკულტეტების მიერ საკუთარი ბიუჯეტის პროექტის შედგენასა და წარმომადგენლობით საბჭოსთვის წარდგენას, წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ უნივერსიტეტის ერთიანი ბიუჯეტის პროექტის ფორმირებასა და დამტკიცებას;

ვ) ამზადებს შესრულებული სამუშაოს ყოველწლიურ ანგარიშს და დასამტკიცებლად წარუდგენს წარმომადგენლობით საბჭოს;



- ზ) გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს თავისი კომპეტენციის ფარგლებში;
- თ) პასუხისმგებელია უნივერსიტეტის ფინანსური და ეკონომიკური საქმიანობის კანონიერებასა და ეფექტიანობაზე;
- ი) ასრულებს წესდებით გათვალისწინებულ სხვა ფუნქციებს.

2. ადმინისტრაციის ხელმძღვანელი თავისი საქმიანობით ანგარიშვალდებულია აკადემიური საბჭოსა და წარმომადგენლობითი საბჭოს წინაშე.

3. გარდა ადმინისტრაციული თანამდებობის პირის ვადამდე გათავისუფლების ზოგადი საფუძვლებისა, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საფუძვლებია:

- ა) წარმომადგენლობითი საბჭოს განმეორებითი უარი წლიური ანგარიშისა და ბიუჯეტის დამტკიცებაზე;
- ბ) წარმომადგენლობითი საბჭოს მოტივირებული გადაწყვეტილება.
- გ) საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს შრომის კოდექსი“ გათვალისწინებული შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლები.

მუხლი 17. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური

1. სასწავლო პროცესი, აგრეთვე, უნივერსიტეტის პერსონალის პროფესიული განვითარების ხარისხი ექვემდებარება სისტემატურ შეფასებას, რომელშიც მონაწილეობას იღებენ, აგრეთვე, უნივერსიტეტის სტუდენტები და რომლის შედეგები საჯარო და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის.

2. უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის, აგრეთვე, პერსონალის პროფესიული განვითარების ხარისხის სისტემატური შეფასების მიზნით იქმნება უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

3. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს 4 წლის ვადით ამტკიცებს წარმომადგენლობითი საბჭო, აკადემიური საბჭოს წარდგინებით. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელისათვის წასაყენებელ მოთხოვნებს განსაზღვრავს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო.

4. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მჭიდრო კავშირს ამყარებს და თანამშრომლობს საზღვარგარეთის ქვეყნებისა და მათი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების შესაბამის სამსახურებთან ხარისხის კონტროლის გამჭვირვალე კრიტერიუმებისა და მათი უზრუნველყოფის მეთოდოლოგიის ჩამოსაყალიბებლად.

5. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უზრუნველყოფს:

- ა) შეფასების შიდა და გარე პროცედურებს, რომელთა მიზანია უნივერსიტეტში სწავლების ხარისხის გაუმჯობესება;
- ბ) დადგენილი კრიტერიუმების მიხედვით უნივერსიტეტში სწავლების ხარისხის მაჩვენებელთა შესახებ მონაცემთა ბაზის შექმნასა და განახლებას;
- გ) ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებისათვის ხარისხის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მოთხოვნების, ასევე, მასში განხორციელებული ცვლილებების თაობაზე ინფორმაციის მიწოდებას;
- დ) ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებიდან ამ სფეროს მიკუთვნებულ საკითხებზე ინფორმაციის მიღებას შემდგომი დამუშავებისა და მონაცემთა ბაზაში მათი ასახვის მიზნით;
- ე) სხვა საქმიანობას, რომელიც ხელს უწყობს სწავლების ხარისხის მაღალ დონეს სწავლის, სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების (მოდულები, საკრედიტო სისტემა და ა.შ.) დანერგვის გზითა და აკრედიტაციის პროცესისათვის თვითშეფასების მომზადებას.

6. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური თავისი საქმიანობით ანგარიშვალდებულია აკადემიური საბჭოს და წარმომადგენლობითი საბჭოს წინაშე, რომელიც წელიწადში ერთხელ აღნიშნული საბჭოების გაერთიანებულ სხდომაზე წარადგენს საქმიანობის ანგარიშს.



თავი III ფაკულტეტი

მუხლი 18. ფაკულტეტის სტრუქტურა და ფაკულტეტის მართვის ორგანოები

1. ფაკულტეტი არის უნივერსიტეტის ძირითადი საგანმანათლებლო ერთეული, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტთა მომზადებას ერთ ან რამდენიმე სპეციალობაში და მათთვის შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭებას.
2. ფაკულტეტის მართვის ორგანოებია: ფაკულტეტის საბჭო, დეკანი, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.
3. ფაკულტეტის დებულებით დადგენილი წესით, ფაკულტეტის შემადგენლობაში სტრუქტურული ერთეულის სახით შეიძლება შევიდეს სასწავლო და დამხმარე (ბიბლიოთეკა და სხვა) სტრუქტურული ერთეულები.
4. ფაკულტეტის დებულებას ამტკიცებს წარმომადგენლობითი საბჭო.

მუხლი 19. ფაკულტეტის საბჭო

1. ფაკულტეტის წარმომადგენლობითი ორგანოა ფაკულტეტის საბჭო, რომლის შემადგენლობაში შედის ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის ყველა წევრი და სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენლები.
2. ფაკულტეტის საბჭოში სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენელთა რაოდენობა განისაზღვრება ფაკულტეტის დებულებით, მაგრამ არ შეიძლება იყოს საბჭოს შემადგენლობის 1/4-ზე ნაკლები.

მუხლი 20. ფაკულტეტის საბჭოს უფლებამოსილება

ფაკულტეტის საბჭო:

- ა) განსაზღვრავს და ადმინისტრაციის ხელმძღვანელს წარუდგენს ფაკულტეტის ბიუჯეტის პროექტს;
- ბ) თავისუფალი და თანასწორი არჩევნების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს დეკანს;
- გ) დეკანის წარდგინებით შეიმუშავებს და უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს ფაკულტეტის განვითარების სტრატეგიულ გეგმასა და საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით პროგრამებს;
- დ) დეკანის წარდგინებით შეიმუშავებს ფაკულტეტის სტრუქტურასა და დებულებას და დასამტკიცებლად წარუდგენს წარმომადგენლობით საბჭოს;
- ე) შეიმუშავებს სადისერტაციო საბჭოს დებულებას და დასამტკიცებლად წარუდგენს აკადემიურ საბჭოს;
- ვ) ირჩევს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს;
- ზ) უფლებამოსილია, დეკანის მიერ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევის, დეკანისათვის დაკისრებული მოვალეობების არასათანადოდ შესრულების ან/და დეკანისათვის შეუფერებელი საქმიანობის განხორციელების საფუძველით, ფაკულტეტის საბჭოს წევრების არანაკლებ 1/3-ის მოთხოვნით განიხილოს დეკანის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხი. გადაწყვეტილება დეკანის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის თაობაზე მიიღება ფარული კენჭისყრით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით. დეკანი ამ პუნქტით გათვალისწინებულ კენჭისყრაში არ მონაწილეობს. ამ საკითხებზე მიღებული გადაწყვეტილებების გასაჩივრება არ იწვევს სადავო აქტის მოქმედების შეჩერებას;
- თ) წელიწადში ორჯერ ისმენს დეკანის საქმიანობის ანგარიშს;
- ი) დეკანის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში ნიშნავს დეკანის მოვალეობის შემსრულებელს;
- კ) ახორციელებს ამ წესდებითა და საქართველოს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას.

მუხლი 21. დეკანი

1. ფაკულტეტის საბჭო ფაკულტეტის დეკანს ირჩევს 4 წლის ვადით. დეკანის თანამდებობაზე ერთი და იგივე



პირი შეიძლება არჩეულ იქნეს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ. დეკანის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატების რეგისტრაციის დაწყების შესახებ განცხადებას ფაკულტეტის საბჭო აქვეყნებს კანდიდატების რეგისტრაციის დაწყებამდე არანაკლებ 1 თვით ადრე, გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპების დაცვით. განცხადებაში აღინიშნება კანდიდატების რეგისტრაციის დაწყების თარიღი, კანდიდატთა განცხადებების მიღების ბოლო ვადა და დეკანის არჩევნების ჩატარების თარიღი. განცხადება დეკანის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატების რეგისტრაციის დაწყების შესახებ უნდა განთავსდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე და შესაბამის ფაკულტეტზე თვალსაჩინო ადგილას.

2. დეკანად შეიძლება აირჩეს უნივერსიტეტის იმავე ფაკულტეტის პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი.

3. დეკანი:

ა) უზრუნველყოფს ფაკულტეტის სასწავლო-სამეცნიერო საქმიანობის ეფექტიანად მიმდინარეობას;

ბ) ფაკულტეტის საბჭოს განსახილველად წარუდგენს ფაკულტეტის განვითარების სტრატეგიულ გეგმას და საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით პროგრამებს;

გ) შეიმუშავებს და ფაკულტეტის საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს ფაკულტეტის სტრუქტურასა და დებულებას;

დ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში პასუხისმგებელია წარმომადგენლობითი საბჭოს, აკადემიური საბჭოსა და ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებების შესრულებისთვის;

ე) თავმჯდომარეობს ფაკულტეტის საბჭოს სხდომებს;

ვ) „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და ამ წესდების შესაბამისად პასუხისმგებელია ფაკულტეტის ბიუჯეტის მიზნობრივი გამოყენებისთვის;

ზ) წელიწადში ორჯერ აკადემიურ საბჭოსა და ფაკულტეტის საბჭოს წარუდგენს საქმიანობის ანგარიშს;

თ) ახორციელებს ამ წესდებითა და საქართველოს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას.

4. დეკანი, კომპეტენციის შესაბამისად, ინდივიდუალური საკითხების გადასაწყვეტად გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს – ბრძანებას, რომლითაც რეგულირდება ფაკულტეტის ფარგლებში სასწავლო საქმიანობასთან დაკავშირებული ყველა სამართლებრივი საკითხი.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 10 მარტის ბრძანება №41/ნ - ვებგვერდი, 13.03.2017წ.

მუხლი 22. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური

1. უნივერსიტეტის ფაკულტეტზე სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის, აგრეთვე მისი აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების ხარისხის სისტემატური შიდა შეფასების მიზნით, განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის მუდმივი განვითარებისათვის იქმნება ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომელიც მოქმედებს ფაკულტეტის დებულების შესაბამისად.

2. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უფლებამოსილია ითანამშრომლოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესაბამის სამსახურებთან ხარისხის კონტროლის გამჭვირვალე კრიტერიუმებისა და მათი უზრუნველყოფის მეთოდოლოგიის ჩამოსაყალიბებლად.

3. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს ირჩევს ფაკულტეტის საბჭო 4 წლის ვადით.

4. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წევრი (ხელმძღვანელი და სპეციალისტი) შეიძლება იყოს ფაკულტეტის პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წევრისათვის (ხელმძღვანელი და სპეციალისტი) წასაყენებელ მოთხოვნებს განსაზღვრავს ფაკულტეტის საბჭო.

5. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ძირითადი ამოცანაა ხელი შეუწყოს სწავლების ხარისხის მაღალი დონის უზრუნველყოფას სწავლის, სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების (მოდულები, საკრედიტო სისტემა და ა.შ.) გამოყენების გზით და აკრედიტაციის პროცესისათვის თვითშეფასების მომზადებას.



მუხლი 23. ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო

1. სადისერტაციო საბჭო არის დოქტორის აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელი ორგანო.
2. უნივერსიტეტის ფაკულტეტზე შესაბამისი დარგის/სპეციალობის მიხედვით იქმნება სადისერტაციო საბჭო. სადისერტაციო საბჭოს/საბჭოების შექმნის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო.
3. ფაკულტეტზე სადისერტაციო საბჭოს შედგენისა და მისი თავმჯდომარის არჩევის წესი განისაზღვრება ფაკულტეტის საბჭოს წარდგინებით აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული დებულებით.
4. უნივერსიტეტის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო შედგება ფაკულტეტის შესაბამისი დარგის/სპეციალობის ყველა პროფესორისა და ასოცირებული პროფესორისაგან. ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს შემადგენლობაში შეიძლება შევიდნენ შესაბამისი დარგის წარმომადგენლები – სპეციალობის მქონე პირების წარმომადგენლები საქართველოდან და უცხოეთიდან, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ განსაზღვრული კრიტერიუმებისა და წესის შესაბამისად.
5. უნივერსიტეტი უფლებამოსილია სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებასთან გააფორმოს ხელშეკრულება დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების განსახორციელებლად.

თავი IV უნივერსიტეტის პერსონალი

მუხლი 24. უნივერსიტეტის პერსონალი

უნივერსიტეტის პერსონალია: აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი.

მუხლი 25. უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი

1. უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი შედგება პროფესორისაგან, ასოცირებული პროფესორისაგან, ასისტენტ-პროფესორისა და ასისტენტისაგან.
2. (ამოღებულია - 10.03.2017, №41/ნ).
3. პროფესორები მონაწილეობენ სასწავლო პროცესსა და მეცნიერულ კვლევებში ან/და წარმართავენ მათ.
4. ასისტენტი პროფესორის, ასოცირებული პროფესორის ან ასისტენტ-პროფესორის ხელმძღვანელობით ახორციელებს სასემინარო და კვლევით სამუშაოებს ძირითად საგანმანათლებლო ერთეულში მიმდინარე სასწავლო პროცესის ფარგლებში.

მუხლი 26. აკადემიური თანამდებობის დაკავების წესი

1. აკადემიური თანამდებობების დაკავება ხდება მხოლოდ ღია კონკურსის წესით, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპებს.
2. უნივერსიტეტის აკადემიურ თანამდებობებზე კანდიდატების შერჩევა ხდება უნივერსიტეტის ფაკულტეტების საკონკურსო კომისიების მიერ.
3. აკადემიურ თანამდებობებზე კონკურსის გამოცხადება ხდება უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ, ფაკულტეტების შუამდგომლობის საფუძველზე, აკადემიური პერსონალის შემადგენლობის განახლების ან/და წარმოქმნილი ვაკანსიის შევსების მიზნით.
4. უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის შემადგენლობის განახლების შემთხვევაში კონკურსი ტარდება არაუგვიანეს აკადემიური პერსონალის წევრთა უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე, ხოლო ვაკანსიის წარმოქმნის შემთხვევაში შესაბამისი ვაკანსიის წარმოქმნიდან არა უგვიანეს 3 თვის ვადაში.
5. კონკურსის ჩატარების თარიღი და პირობები ქვეყნდება საქართველოს კანონმდებლობითა და ამ მუხლით დადგენილი წესით, საბუთების მიღებამდე არანაკლებ 1 თვით ადრე. საბუთების მიღება გრძელდება არანაკლებ 2 და არაუმეტეს 3 კვირისა. კონკურსი ტარდება საბუთების მიღების დასრულებიდან არანაკლებ 1 და არაუგვიანეს 2 თვის ვადაში.
6. კონკურსის გამოცხადების შესახებ გამოქვეყნებულ განცხადებაში აღინიშნება კონკურსანტების რეგისტრაციის დაწყების, დასრულების, კონკურსის ჩატარებისა და შედეგების გამოქვეყნების თარიღები,



ასევე კონკურსის პირობები და კანდიდატების მიერ წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა.

7. ამ მუხლით განსაზღვრულ დღეებში იგულისხმება კალენდარული დღეები.

8. უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის შესარჩევად (კონკურსის ჩასატარებლად), თითოეულ ფაკულტეტზე იქმნება საკონკურსო კომისია, რომლის შემადგენლობას (თავმჯდომარე; წევრები) ამტკიცებს ფაკულტეტის საბჭო.

9. საკონკურსო კომისია შედგება 3-7 წევრისაგან. კომისიის შემადგენლობაში შეიძლება შედიოდეს მოწვეული წევრი.

10. საკონკურსო კომისიის მდივანი აირჩევა კომისიის პირველ სხდომაზე. საკონკურსო კომისიის მდივანი უზრუნველყოფს კომისიის საქმისწარმოებას, ადგენს კომისიის სხდომის დღის წესრიგს და სხდომის ოქმებს (მათ შორის კონკურსის შედეგების შემაჯამებელ ოქმს), რეგისტრაციაში გატარებულ კანდიდატებს აძლევს შესაბამის ცნობებს, რეგისტრაციაში ატარებს საკონკურსო კომისიაში შესულ კორესპონდენციებს (მათ შორის განცხადებებს/საჩივრებს).

11. საკონკურსო კომისიის სხდომის მოწვევის უფლება აქვს საკონკურსო კომისიის თავმჯდომარეს ან მისი წევრების არა ნაკლებ 1/3-ს.

12. საკონკურსო კომისიის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება სრული შემადგენლობის 2/3 მაინც.

13. საკონკურსო კომისია გადაწყვეტილებებს იღებს ღია კენჭისყრის წესით, კომისიის სრული შემადგენლობის უმრავლესობით, რაც ფორმდება შესაბამისი ოქმით.

14. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გამამწყვეტია სხდომის თავმჯდომარის ხმა.

15. საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე, მდივანი, კომისიისა და სამდივნოს წევრები უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან შეიძლება იღებდნენ გაწეული შრომის ანაზღაურებას.

16. საკონკურსო კომისიის სრული დოკუმენტაცია კონკურსის შედეგების ძალაში შესვლის შემდეგ გადაეცემა ადამიანური რესურსების მართვის განყოფილებას.

17. საკონკურსო კომისიის უფლება-მოვალეობებია:

ა) განახორციელოს აკადემიურ თანამდებობებზე კონკურსის ორგანიზება და ჩატარება;

ბ) კონკურსის შედეგად შეარჩიოს უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი;

გ) მიიღოს და განიხილოს საპროცედურო დარღვევებთან დაკავშირებული განცხადებები/საჩივრები;

დ) სათანადო საფუძველების არსებობის შემთხვევაში ნაწილობრივ ან მთლიანად გააუქმოს ან შეცვალოს მიღებული გადაწყვეტილება;

ე) მიიღოს გადაწყვეტილება მის კომპეტენციაში შემავალ სხვა საკითხებზე.

18. საკონკურსო კომისია უფლებამოსილებას ინარჩუნებს აკადემიური კონკურსის შედეგების ძალაში შესვლამდე.

19. საკონკურსო კომისია ვალდებულია კონკურსის ჩატარება უზრუნველყოს ამ მუხლით დადგენილი წესით.

20. საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე ხელმძღვანელობს კომისიის სხდომებს და ხელს აწერს შესაბამის ოქმებს.

21. საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მიერ უფლებამოსილების დროებით განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში საკონკურსო კომისიის სხდომებს შეიძლება ხელმძღვანელობდეს კომისიის ერთ-ერთი წევრი, რომელიც აირჩევა კომისიის სხდომაზე.

22. კონკურსანტთა რეგისტრაციის მიზნით უნივერსიტეტის დამხმარე პერსონალისაგან იქმნება



საბუთების მიმღები სამდივნო, რომელიც კომპლექტდება 2-4 წევრით.

23. საბუთების მიმღები სამდივნოს უფლება-მოვალეობებია:

ა) კონკურსში მონაწილეობის მსურველთა განცხადებების მიღება და რეგისტრაციაში გატარება;

ბ) განცხადების მიღების შემთხვევაში განმცხადებელზე განცხადების მიღების შესახებ ცნობის გაცემა, რომელშიც აღინიშნება განმცხადებლის სახელი, გვარი, ფაკულტეტისა და საძიებელი თანამდებობის დასახელება, საშტატო ერთეული, წარმოდგენილი დოკუმენტების სრული ნუსხა ფურცლების რაოდენობის მითითებით, ასევე, საბუთების მიღების თარიღი და რიგითი ნომერი. რეგისტრაციის დასრულების შემდგომ განმცხადებელს უბრუნდება წარმოდგენილი დედანი დოკუმენტები.

გ) განცხადების მიღებიდან 6 დღის განმავლობაში წარმოდგენილი დოკუმენტების შესაბამისობის შემოწმება საკონკურსო პირობებთან;

დ) წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ხარვეზის არარსებობის შემთხვევაში კონკურსანტის რეგისტრაციის განხორციელება;

ე) წარმოდგენილ დოკუმენტებში ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში განმცხადებლისათვის 1 დღის ვადაში წერილობით შეტყობინების გაგზავნა, რომელიც უფლებამოსილია აღმოჩენილი ხარვეზი გამოასწოროს შეტყობინების მიღებიდან 2 დღის ვადაში;

ვ) სათანადო საფუძვლის არსებობის შემთხვევაში განმცხადებლისათვის განცხადების რეგისტრაციაზე უარის თქმა ან რეგისტრაციის გაუქმება.

24. თითოეულ საკონკურსო ადგილზე რეგისტრირებულ კონკურსანტთა სია ქვეყნდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე და საინფორმაციო დაფაზე.

25. საკონკურსო კომისიის წევრი არ შეიძლება იყოს კონკურსანტი.

26. კონკურსის ორგანიზებასა და ჩატარებასთან დაკავშირებულ ხარჯებს ფარავს უნივერსიტეტი.

27. უნივერსიტეტის ადმინისტრაცია და შესაბამისი ფაკულტეტი უზრუნველყოფს საკონკურსო კომისიისათვის შესაბამისი ოთახის გამოყოფასა და სათანადოდ მოწყობას.

28. საკონკურსო კომისიები მუშაობენ 1000 – დან – 1800 საათამდე. საჭიროების შემთხვევაში, საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებით, დასაშვებია სამუშაო საათების ცვლილება, რაც უნდა აისახოს საკონკურსო კომისიის შესაბამის ოქმში.

29. კონკურსი ტარდება, თუ გამოცხადდა საკონკურსო კომისიის წევრთა არანაკლებ 2/3.

30. საკონკურსო განცხადება წარმოდგენილი უნდა იქნეს შესაბამისი ფორმით საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის სახელზე.

31. საკონკურსო განცხადებაში აღინიშნება: განმცხადებლის სახელი, გვარი, პირადი ნომერი, მისამართი, საკონტაქტო ინფორმაცია (ტელეფონის ნომერი), შესაბამისი ფაკულტეტისა და საკონკურსო თანამდებობის დასახელება საშტატო ერთეულის მითითებით. აგრეთვე დასტური იმისა, რომ განმცხადებელი გაეცნო და ეთანხმება აკადემიურ თანამდებობებზე არჩევის პირობებს, დასასრულს კეთდება განმცხადებლის ხელმოწერა და მიეთითება თარიღი.

32. საკონკურსო განცხადებას თან უნდა დაერთოს კონკურსანტის ანკეტა, რომელშიც წარმოდგენილი იქნება სათანადო ინფორმაცია (მათ შორის იმ სასწავლო დისციპლინების ჩამონათვალი, რომლებშიც კონკურსანტს შეუძლია სალექციო კურსის ან/და სხვა მეცადინეობების გაძღოლა), რომლის საფუძველზეც შესაძლებელი იქნება კონკურსანტის შესაბამისობის დადგენა საკონკურსო თანამდებობის მოთხოვნებთან და შესაბამისი სპეციალობის საგანმანათლებლო პროგრამასთან (პროგრამებთან). საკონკურსო განცხადებას თან უნდა დაერთოს აგრეთვე წარმოდგენილი ინფორმაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია: დიპლომი, სერტიფიკატი, მოწმობა, სიგელი, ცნობა და სხვა საჭირო დოკუმენტაცია (დედანი და ქსეროასლი ან ნოტარიულად დამოწმებული ასლი) ხოლო ყველა სხვა ინფორმაცია ისეთი სახით, რომლის მიხედვით საკონკურსო კომისიას შეეძლება მისი უტყუარობის შემოწმება/დადგენა. წინააღმდეგ შემთხვევაში აღნიშნული ინფორმაცია არ იქნება მხედველობაში მიღებული საკონკურსო კომისიის მიერ კონკურსანტის



მონაცემების შეფასებისას. წარმოდგენილი დოკუმენტაციის/ინფორმაციის უტყუარობაზე პასუხისმგებელია განმცხადებელი.

33. კონკურსანტის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში, ისეთი ინფორმაციის აღმოჩენის შემთხვევაში, რომელიც არ შეესაბამება სინამდვილეს შემოსულ განცხადებაზე წყდება საქმის წარმოება, რის შესახებაც დგება შესაბამისი ოქმი და წერილობით ეცნობება კონკურსანტს.

34. განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი სამეცნიერო ნაშრომების ჩამონათვალი არ მოითხოვს შესაბამის პუბლიკაციათა წარმოდგენას, თუ იგი (მისი ყველა გვერდი) დამოწმებული იქნება შესაბამისი დაწესებულების/ორგანიზაციის კომპეტენტური პირის ხელმოწერითა და ბეჭდით.

35. საკონკურსო კომისიისაგან ცნობის ან სხვა რაიმე საბუთის მიღებას განმცხადებელი სარეგისტრაციო ჟურნალში ადასტურებს ხელმოწერით.

36. საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებები (გარდა კონკურსის შედეგებისა) ამავე საკონკურსო კომისიაში შეიძლება გასაჩივრდეს მისი მიღებიდან 3 დღის განმავლობაში.

37. განცხადება/საჩივარი უნდა შეიცავდეს შემდეგ რეკვიზიტებს:

ა) საკონკურსო კომისიის დასახელება;

ბ) განცხადების/საჩივრის შემომტანი პირის სახელი, გვარი, მისამართი, საკონტაქტო ინფორმაცია (ტელ.ნომერი);

გ) განცხადების/საჩივრის შემომტანი პირის სტატუსი.

დ) დარღვევის შინაარსი;

ე) მოწმეების ვინაობა (იმ შემთხვევაში, თუ არსებობენ მოწმეები, რომლებიც დაადასტურებენ ამ ფაქტობრივ გარემოებას);

ვ) განცხადების/საჩივრის შემომტანი პირის მოთხოვნა;

ზ) განცხადების/საჩივრის შემომტანი პირის ხელმოწერა, თარიღი და დრო.

38. ფაკულტეტის საკონკურსო კომისია ვალდებულია განმცხადებელს გადასცეს ცნობა, რომელშიც აღინიშნება განცხადების/საჩივრის კომისიაში მიღების თარიღი და დრო.

39. განცხადების/საჩივრის შეტანიდან 3 დღის განმავლობაში კომისია განიხილავს განცხადებას/საჩივარს და გადაწყვეტილებას იღებს მისი დაკმაყოფილების, დაკმაყოფილებაზე უარის ან მისი განუხილველად დატოვების შესახებ.

40. განცხადების/საჩივრის დაკმაყოფილების შესახებ გადაწყვეტილებას საკონკურსო კომისია იღებს იმ შემთხვევაში, თუ მიიჩნევს, რომ დარღვევამ არსებითი გავლენა იქონია ან შეიძლება იქონიოს კონკურსის შედეგზე.

41. ფაკულტეტის საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

42. კონკურსი ტარდება საბუთების მიღების დასრულებიდან კონკურსის შედეგების გამოქვეყნებამდე პერიოდში, მას შემდეგ, რაც განხორციელდება თითოეულ საკონკურსო თანამდებობაზე დარეგისტრირებულ კონკურსანტთა მონაცემების ანალიზი.

43. საკონკურსო კომისიების მიერ უნივერსიტეტის აკადემიურ თანამდებობებზე კონკურსანტთა შერჩევა ხდება მათი კვალიფიკაციისა და კომპეტენციის შესაბამისობის მიხედვით საკონკურსო თანამდებობასთან და შესაბამისი სპეციალობის საგანმანათლებლო პროგრამასთან (პროგრამებთან), კონკურსანტთა სხვა აქტივობების, მიღწევების და დამსახურების გათვალისწინებით, რაც დგინდება კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შეფასებისა და კონკურსანტთან გასაუბრების გზით.

44. კონკურსის ჩატარების დღეს საკონკურსო კომისია იხილავს რა კონკრეტული საკონკურსო



თანამდებობის არსებულ საშტატო ერთეულებზე კონკურსში მონაწილე თითოეული კონკურსანტის მონაცემებს და აფასებს კონკურსანტთან გასაუბრების შედეგებს, ღია კენჭისყრით იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას. ამასთან, საკონკურსო კომისიის ყოველ წევრს უფლება აქვს კონკრეტულ საკონკურსო თანამდებობაზე ხმა მისცეს არაუმეტეს იმდენ კონკურსანტს, რამდენი საკონკურსო ადგილიცაა მოცემულ თანამდებობაზე. საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებები ფიქსირდება შესაბამის ოქმში.

45. კონკურსში გამარჯვებულად ჩაითვლება კონკურსანტი, რომელსაც ხმას მისცემს საკონკურსო კომისიის სრული შემადგენლობის უმრავლესობა. თუ იმ კონკურსანტთა რაოდენობა, რომლებმაც მოიპოვეს ხმათა საჭირო რაოდენობა, აღემატება შესაბამისი საკონკურსო ადგილების რაოდენობას ან კონკურსანტების მიერ მიღებულ ხმათა თანაბრობის გამო გამარჯვებული ვერ გამოვლინდა, ამ კონკურსანტებს დაუყოვნებლივ ეყრება განმეორებით კენჭი მათ შორის გამარჯვებულის გამოსავლენად. განმეორებით კენჭისყრაზე ხმათა თანაბარი რაოდენობის მიღების შემთხვევაში არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელმაც წინა კენჭისყრაზე მეტი ხმა მიიღო. თუ მეორე კენჭისყრითაც ვერ გამოვლინდა გამარჯვებული, ამავე წესით ტარდება იმდენი კენჭისყრა, რამდენიც საჭირო იქნება მოცემულ საკონკურსო თანამდებობაზე არსებული საკონკურსო ადგილის (ადგილების) დაკომპლექტებისათვის.

46. მას შემდეგ, რაც კონკურსი ჩატარდება ყველა საკონკურსო თანამდებობაზე, საკონკურსო კომისიის მიერ ივსება და კენჭისყრით მტკიცდება შემაჯამებელი ოქმი, რომელშიც შეიტანება შემდეგი მონაცემები:

- ა) საკონკურსო კომისიის ყველა წევრის სახელი და გვარი;
- ბ) კენჭისყრაზე გამოცხადებული საკონკურსო კომისიის ყველა წევრის სახელი და გვარი;
- გ) თითოეული კონკურსანტის მიერ მოპოვებული ხმების რაოდენობა;
- დ) კონკურსში გამარჯვებული კონკურსანტის(კონკურსანტების) სახელი და გვარი;
- ე) შემაჯამებელი ოქმის დამტკიცების თარიღი.

47. თუ კონკურსში რომელიმე საკონკურსო თანამდებობაზე არ მონაწილეობდა არცერთი კონკურსანტი, ან კონკურსის ჩატარების შედეგად არ შეივსო შესაბამისი ვაკანსიები, დარჩენილ ვაკანსიებზე ინიშნება ხელახალი კონკურსი ამ მუხლით განსაზღვრული პროცედურების სრული დაცვით.

48. საკონკურსო კომისია კონკურსის შედეგებს აქვეყნებს კონკურსის დასრულების შემდეგ, არაუგვიანეს კონკურსის შესახებ გამოქვეყნებულ განცხადებაში აღნიშნული დღისა ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე (უნივერსიტეტის ვებგვერდზე, საინფორმაციო დაფაზე).

49. აკადემიური პერსონალის უფლებამოსილება ძალაშია კონკურსის შედეგების დამტკიცებისთანავე, რომელიც დაუყოვნებლივ განთავსდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე და საინფორმაციო დაფაზე.

50. კონკურსში გამარჯვებულ კანდიდატთან (კანდიდატებთან) კონკურსის შედეგების დამტკიცებისთანავე ფორმდება აკადემიური პერსონალის შრომითი ხელშეკრულება, რომლის უზრუნველყოფა ევალება უნივერსიტეტის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილებას.

51. აკადემიური კონკურსის ფორმებს, პირობებს, აგრეთვე საკონკურსო-საფაკულტეტო კომისიისა და საბუთების მიმღები სამდივნოს შემადგენლობას და აკადემიური კონკურსის შედეგებს ამტკიცებს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 10 მარტის ბრძანება №41/ნ - ვებგვერდი, 13.03.2017წ.

მუხლი 27. აკადემიურ თანამდებობებზე არჩევის პირობები

1. პროფესორის თანამდებობაზე:

ა) 5 წლის ვადით შეიძლება აირჩეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება და რომელიც აკმაყოფილებს ამ წესდების 271 მუხლით განსაზღვრულ დამატებით პირობებს;

ბ) უვადოდ შეიძლება აირჩეს პირი, რომელიც აკმაყოფილებს ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით დადგენილ მოთხოვნებს და რომელსაც აქვს განსაკუთრებული პროფესიული მიღწევები ან/და სამეცნიერო მიღწევები და რომელიც აკმაყოფილებს ამ წესდების 271 მუხლით განსაზღვრულ დამატებით პირობებს. პროფესორი 5 წელიწადში ერთხელ ექვემდებარება ამ წესდების 273 მუხლით დადგენილი წესით ატესტაციის გავლას.



2. ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება.

3. ასისტენტ-პროფესორის თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი 3 ან 4 წლის ვადით.

4. ასისტენტის თანამდებობაზე ამ მუხლით განსაზღვრული წესით შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორანტი 3 ან 4 წლის ვადით.

5. უნივერსიტეტის აკადემიურ თანამდებობაზე არ შეიძლება არჩეულ იქნეს 65 წელს მიღწეული პირი, ხოლო აკადემიურ თანამდებობაზე მყოფი პირი, რომელმაც მიაღწია 65 წელს, აკადემიური თანამდებობიდან გათავისუფლდება აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის ვადის გასვლის შემდეგ.

6. გამონაკლისის სახით უნივერსიტეტის აკადემიურ თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს 65 წლის ასაკს გადაცილებული პირი, თუ იგი აკმაყოფილებს აკადემიურ კონკურსში მონაწილე კანდიდატისადმი დადგენილ მოთხოვნებს. აკადემიური თანამდებობის დაკავება ხდება ამ მუხლით დადგენილი წესით.

7. ამ მუხლის პირველი-მე-4 პუნქტებით გათვალისწინებულ აკადემიურ თანამდებობებზე პროფესიული ნიშნით შეიძლება არჩეულ იქნეს კვალიფიციური პერსონალი. ამ შემთხვევაში პირის კვალიფიკაცია შეიძლება დასტურდებოდეს პროფესიული გამოცდილებით, რაც გულისხმობს უნივერსიტეტში პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 10 წლის გამოცდილებას, სპეციალური მომზადებით ან/და პუბლიკაციებით. შესაბამისი კვალიფიკაციის მქონედ ითვლება პირი, რომელსაც აქვს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 10 მარტის ბრძანება №41/ნ - ვებგვერდი, 13.03.2017წ.

მუხლი 27¹. პროფესორის თანამდებობაზე არჩევის დამატებითი პირობები

ამ წესდების 27-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, პროფესორის თანამდებობაზე ასარჩევად კანდიდატი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ დამატებით პირობებს:

ა) აკადემიური/სამეცნიერო ხარისხის (ან დოქტორანტის) მიმართულება უნდა ემთხვეოდეს დასაკავებელი აკადემიური თანამდებობის მიმართულებას;

ბ) გამოქვეყნებული შრომები, სამეცნიერო და სასწავლო-მეთოდური ნაშრომები უნდა ემთხვეოდეს დასაკავებელი აკადემიური თანამდებობის მიმართულებას;

გ) უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში წაკითხული დისციპლინები უნდა ემთხვეოდეს დასაკავებელი აკადემიური თანამდებობის მიმართულებას;

დ) არანაკლებ 6-წლიანი სამეცნიერო-პედაგოგიური გამოცდილებიდან კონკურსანტს უნდა გააჩნდეს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის ბოლო 5 წლის გამოცდილება.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 10 მარტის ბრძანება №41/ნ - ვებგვერდი, 13.03.2017წ.

მუხლი 27²

პროფესორის განსაკუთრებული პროფესიული ან/და სამეცნიერო მიღწევების შეფასების კრიტერიუმები

1. პროფესორის განსაკუთრებული პროფესიული ან/და სამეცნიერო მიღწევების შეფასების კრიტერიუმებია:

ა) საერთაშორისო და ადგილობრივი კვლევები, რომელიც ხელს უწყობს სამცხე-ჯავახეთის რეგიონისა და უნივერსიტეტის განვითარებას;

ბ) უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელობა;

გ) სამაგისტრო ნაშრომებისა და დისერტაციების წარმატებით ხელმძღვანელობა, რომელსაც მოყვა დადებითი შეფასება (დაცვა);

დ) მაღალი ხარისხის სასწავლო-სამეცნიერო პროდუქციის შექმნა, შესაბამისი დარგის სპეციალისტის რეკომენდაციით/დასკვნით;

ე) განათლების ინტერნაციონალიზაციის მიზნით საერთაშორისო კონტაქტების გაძლიერება;



- ვ) სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის ან საგანმანათლებლო დაწესებულების/ერთეულის ჩამოყალიბება;
- ზ) სასწავლო-სამეცნიერო საერთაშორისო დონის პროექტების ხელშეწყობა უნივერსიტეტის მიზნებისათვის;
- თ) სამეცნიერო-საგანმანათლებლო პერიოდული გამოცემის დაარსება.

2. პროფესორის თანამდებობაზე გამოცხადებულ კონკურსში მონაწილე პირი უნდა აკმაყოფილებდეს ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული 8 კრიტერიუმიდან არანაკლებ 6 კრიტერიუმს.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 10 მარტის ბრძანება №41/ზ - ვებგვერდი, 13.03.2017წ.

მუხლი 27³. პროფესორის ატესტაცია

1. პროფესორის ატესტაციის გავლა გულისხმობს პროფესორის, პროფესიული უნარებისა და აკადემიური საქმიანობის დაკავებული თანამდებობისათვის წაყენებულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენას.
2. პროფესორის პროფესიული უნარებისა და აკადემიური საქმიანობის დაკავებული თანამდებობისათვის წაყენებულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა ხდება შესაბამისი კრიტერიუმებით შეფასების შედეგად, რომელსაც შეიმუშავებს და ამტკიცებს ფაკულტეტის საბჭო.
3. პროფესორის ატესტაციის ჩატარების მიზნით შესაბამის ფაკულტეტზე იქმნება კომისია.
4. საატესტაციო კომისიის მუშაობის წესს, შემადგენლობას და რაოდენობას განსაზღვრავს ფაკულტეტის საბჭო.
5. საატესტაციო კომისია უფლებამოსილია გადაწყვეტილება მიიღოს, თუკი სხდომას ესწრება კომისიის წევრთა ნახევარზე მეტი.
6. საატესტაციო კომისია გადაწყვეტილებას იღებს დამსწრეთა უმრავლესობით.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 10 მარტის ბრძანება №41/ზ - ვებგვერდი, 13.03.2017წ.

მუხლი 28. აკადემიური პერსონალის უფლებები

1. აკადემიურ პერსონალს, კომპეტენციის შესაბამისად, უფლება აქვს:
 - ა) მონაწილეობა მიიღოს უნივერსიტეტის მართვაში, მათ შორის მართვის ორგანოების არჩევნებში;
 - ბ) დამოუკიდებლად განახორციელოს სწავლება, შემოქმედებითი საქმიანობა, კვლევა და სამეცნიერო ნაშრომების გამოქვეყნება;
 - გ) საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დამოუკიდებლად განსაზღვროს სასწავლო კურსის პროგრამების (სილაბუსების) შინაარსი, სწავლების მეთოდები და საშუალებები.
2. აკადემიური პერსონალი ვალდებულია:
 - ა) დაიცვას ეთიკის კოდექსი და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმები;
 - ბ) შეასრულოს შრომითი ხელშეკრულებით ნაკისრი მოვალეობები;
 - გ) კვალიფიკაციის ამაღლების შემდეგ წარმოადგინოს ანგარიში ჩატარებული სამუშაოების შესახებ;
 - დ) დაიცვას წინამდებარე წესდებითა და კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები;
 - ე) სამეცნიერო-შემოქმედებითი შვებულების დასრულების შემდეგ წარმოადგინოს ანგარიში ჩატარებული მუშაობის შესახებ;
3. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს აკადემიური პერსონალის სწავლების თავისუფლებას და ქმნის მისი საქმიანობისათვის შესაბამის პირობებს.

მუხლი 29. აკადემიური პერსონალის თანამდებობიდან გათავისუფლება



აკადემიური პერსონალის თანამდებობიდან განთავისუფლების საფუძვლები განისაზღვრება შრომითი ხელშეკრულებით.

მუხლი 30. ადმინისტრაციული თანამდებობები და სხვა პერსონალი

1. უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ თანამდებობებს მიეკუთვნება: უნივერსიტეტის რექტორის, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის, ფაკულტეტის დეკანის, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის თანამდებობები.
2. უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ თანამდებობაზე არ შეიძლება არჩეულ ან დანიშნულ იქნეს 65 წელს მიღწეული პირი. იმ შემთხვევაში, თუ განსაზღვრული ვადით დასაქმებული პირი თანამდებობაზე ყოფნის პერიოდში მიაღწევს 65 წლის ასაკს, მასთან შრომითი ურთიერთობა შენარჩუნდება შრომითი ხელშეკრულების/არჩევის ვადით, ხოლო განუსაზღვრელი ვადით დასაქმებულ პირთან შრომითი ურთიერთობა შეწყდება 65 წლის ასაკის მიღწევისთანავე. გამონაკლისის სახით უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს 65 წლის ასაკს გადაცილებული პირი, თუ იგი აკმაყოფილებს ადმინისტრაციულ კონკურსში მონაწილე კანდიდატისადმი დადგენილ მოთხოვნებს.
3. მასწავლებელთა პერსონალს მიეკუთვნება მასწავლებელი და უფროსი მასწავლებელი. მასწავლებელთა პერსონალთან შრომით ხელშეკრულებას აფორმებს რექტორი, კანცლერისა და შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის წარდგინებით.
4. მასწავლებელი უფლებამოსილია გაუძღვეს პრაქტიკულ და ლაბორატორიულ სამუშაოებს აკადემიური თანამდებობის დაკავების გარეშე.
5. დამხმარე პერსონალს მიეკუთვნება საშტატო ნუსხით გათვალისწინებული უნივერსიტეტის საქმიანობისათვის აუცილებელი სხვა პირები. საჭიროების შემთხვევაში უნივერსიტეტში შეიძლება დასაქმებულ იქნეს შტატგარეშე პერსონალი.
6. უნივერსიტეტი უფლებამოსილია აკადემიური ან მასწავლებლის თანამდებობის დაკავების გარეშე მოიწვიოს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტი სასწავლო პროცესში მონაწილეობის ან/და ამ პროცესის წარმართვის მიზნით. მოწვეულ სპეციალისტთან შრომით ხელშეკრულებას აფორმებს რექტორი, კანცლერისა და შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის წარდგინებით, რომელთა შრომის ანაზღაურების წესსა და ოდენობას ამტკიცებს წარმომადგენლობითი საბჭო აკადემიური საბჭოსა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წარდგინებით.
7. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით არჩეულ უნივერსიტეტის რექტორობის, ადმინისტრაციის ხელმძღვანელობისა და ფაკულტეტის დეკანობის კანდიდატებს ამ წესდების მე-14 მუხლის მე-2 პუნქტით, მე-15 მუხლის პირველი პუნქტით და 21-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ვადაში ჩათვლებათ ვადა, რომლის განმავლობაშიც მათ ამ უნივერსიტეტში ეკავათ, შესაბამისად, რექტორის, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ან/და ფაკულტეტის დეკანის თანამდებობა ზედიზედ ორი უფლებამოსილების სრული ვადით, მათ შორის, როგორც მოვალეობის შემსრულებლებს.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 10 მარტის ბრძანება №41/ნ - ვებგვერდი, 13.03.2017წ.

მუხლი 30¹. საპატიო დოქტორისა და ემერიტუსის წოდებების მინიჭების წესი და პირობები

1. საპატიო დოქტორი და ემერიტუსი წარმოადგენს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ აკადემიურ წოდებებს.
2. საპატიო დოქტორის აკადემიური წოდება უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით ენიჭება პირს, რომელსაც აქვს განსაკუთრებული დამსახურება უნივერსიტეტის წინაშე.
3. ემერიტუსის აკადემიური წოდება უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით ენიჭება პირს, რომელიც:
 - ა) არის 65 წლის ან მეტი ასაკის;
 - ბ) აქვს უნივერსიტეტში მუშაობის არანაკლებ 20 წლის სტაჟი;
 - გ) აქვს უნივერსიტეტის წინაშე განსაკუთრებული დამსახურება.
4. ემერიტუსის წოდების მინიჭების შესახებ დაინტერესებული პირის განცხადებას განიხილავს ფაკულტეტის საბჭო. ფაკულტეტის საბჭო იღებს დადგენილებას ემერიტუსის წოდების მინიჭებაზე შუამდგომლობის ან შუამდგომლობაზე უარის შესახებ. დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში ფაკულტეტის საბჭოს



შუამდგომლობა განსახილველად გადაეცემა უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს. აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებას ემერეტუსის აკადემიური წოდების მინიჭების შესახებ ამტკიცებს უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო.

5. ემერეტუსის წოდების მქონე პირს უნივერსიტეტის მიერ მიეცემა ყოველთვიური ანაზღაურება, რომლის ოდენობას განსაზღვრავს წარმომადგენლობითი საბჭო.

6. უნივერსიტეტის ემერეტუსის წოდების მქონე პირს, მის მიერ სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში აკადემიური, ადმინისტრაციული თანამდებობის დაკავების, ან სახელშეკრულებო პირობით რაიმე საქმიანობის განხორციელების შემთხვევაში, უნივერსიტეტი შეუწყვეტს გასაცემ ყოველთვიურ ანაზღაურებას.

7. ემერეტუსის წოდების მქონე პირმა შესაძლოა მონაწილეობა მიიღოს უნივერსიტეტის საგანმანათლებლო და სამეცნიერო საქმიანობაში, შეასრულოს როგორც ანაზღაურებადი, ისე არაანაზღაურებადი სამუშაო, აკადემიური და ადმინისტრაციული თანამდებობის დაკავების გარეშე.

8. ემერეტუსის წოდების მქონე პირმა, უნივერსიტეტის გადაწყვეტილებით, შესაძლებელია ისარგებლოს უნივერსიტეტის მიერ დაწესებული სხვა შეღავათებით.

9. უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო აკადემიური საბჭოს წარდგინებით იღებს გადაწყვეტილებას უნივერსიტეტის მედლების მინიჭების თაობაზე, რომელიც პირს შეიძლება მიენიჭოს უნივერსიტეტის წინაშე განსაკუთრებული დამსახურებისათვის.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 10 მარტის ბრძანება №41/ბ - ვებგვერდი, 13.03.2017წ.

მუხლი 31. ადმინისტრაციული თანამდებობიდან გათავისუფლება

უნივერსიტეტის ადმინისტრაციული თანამდებობის პირის ვადამდე გათავისუფლების საფუძვლებია:

ა) პირადი სურვილი;

ბ) მის მიმართ სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლა;

გ) გარდაცვალება;

დ) სასამართლოს მიერ შეზღუდულქმედუნარიანად აღიარება ან მხარდაჭერის მიმღებად ცნობა, თუ სასამართლოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული.

ე) 65 წლის ასაკის მიღწევა;

ვ) ამ უნივერსიტეტის აკადემიური თანამდებობიდან გათავისუფლება, თუ ამ აკადემიურ თანამდებობაზე ყოფნა შესაბამისი ადმინისტრაციული თანამდებობის დაკავების წინაპირობაა;

ზ) კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა შემთხვევა.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 10 მარტის ბრძანება №41/ბ - ვებგვერდი, 13.03.2017წ.

მუხლი 32. თანამდებობრივი შეუთავსებლობა

1. ადმინისტრაციული თანამდებობის პირს არ შეიძლება უნივერსიტეტში იმავდროულად ეკავოს სხვა ადმინისტრაციული თანამდებობა, ან იყოს უნივერსიტეტში სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი.

2. თუ ადმინისტრაციული თანამდებობის დაკავების ან მართვის ორგანოს წევრობის წინაპირობაა აკადემიურ თანამდებობაზე ყოფნა, აკადემიურ თანამდებობაზე, ყოფნის ვადის გასვლა იწვევს შესაბამის ადმინისტრაციულ თანამდებობაზე ან მართვის ორგანოში უფლებამოსილების შეწყვეტას აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსის შედეგების დამტკიცებისთანავე, თუ პირი არ აირჩა შესაბამის აკადემიურ თანამდებობაზე.

3. აკადემიური საბჭოს წევრს არ შეიძლება უნივერსიტეტში იმავდროულად ეკავოს ადმინისტრაციული თანამდებობა, გარდა რექტორისა, ან იყოს წარმომადგენლობითი საბჭოს წევრი.

4. წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერს არ შეიძლება ამ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში



იმავდროულად ეკავოს ადმინისტრაციული თანამდებობა.

5. აკადემიური, მასწავლებელთა და დამხმარე პერსონალის სამსახურებრივი შეუთავსებლობა, ასევე შეუთავსებლობის სხვა შემთხვევები განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.

თავი V სტუდენტი

მუხლი 33. სტუდენტის სტატუსი და უფლებები

1. პირს უნივერსიტეტის სტუდენტის სტატუსი ენიჭება უნივერსიტეტში ჩარიცხვის შესახებ რექტორის ბრძანების საფუძველზე და მოქმედებს უნივერსიტეტთან სამართლებრივი ურთიერთობის შეწყვეტამდე.

2. სტუდენტის სტატუსი სტუდენტს უფლებას აძლევს ისარგებლოს სტუდენტისათვის განსაზღვრული უფლება-მოვალეობებით.

3. სტუდენტს უფლება აქვს:

ა) მიიღოს ხარისხიანი განათლება;

ბ) მონაწილეობა მიიღოს მეცნიერულ კვლევაში;

გ) ამ წესდებით, შინაგანაწესითა და დებულებებით დადგენილი წესით თანაბარ პირობებში ისარგებლოს უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური, საბიბლიოთეკო, საინფორმაციო და სხვა საშუალებებით;

დ) საყოველთაო, პირდაპირი და თანასწორი არჩევნების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით აირჩიოს წარმომადგენელი და არჩეულ იქნეს სტუდენტურ თვითმმართველობაში, ასევე უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის მართვის ორგანოებში ამ წესდების შესაბამისად;

ე) თავისუფლად დააფუძნოს ან/და გაერთიანდეს სტუდენტურ ორგანიზაციებში თავისი ინტერესების შესაბამისად;

ვ) თავისუფლად გამოხატოს საკუთარი აზრი და დასაბუთებული უარი თქვას იმ იდეათა გაზიარებაზე, რომელსაც სთავაზობენ სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას;

ზ) საქართველოს კანონმდებლობითა და მიმღები უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებით განსაზღვრული წესით სწავლების მეორე წლიდან გადავიდეს სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, ხოლო სახელმწიფო დაფინანსების გადატანის წესს განსაზღვრავს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი;

თ) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით დადგენილი წესით გადავიდეს სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამაზე; საგანმანათლებლო პროგრამული მიმართულებისთვის, მათ შორის, პრიორიტეტული საგანმანათლებლო პროგრამული მიმართულებისთვის, გამოყოფილი სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის დაფინანსების წლიური მოცულობის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული პროცენტული მაჩვენებლის ფარგლებში მოპოვებული სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტი გადაიტანოს მაგისტრატურის სხვა აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამაზე გადასვლისას, თუ სწავლას გააგრძელებს იმავე საგანმანათლებლო პროგრამულ მიმართულებაზე ან პრიორიტეტულ საგანმანათლებლო პროგრამულ მიმართულებაზე იმ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, რომელიც ამ კანონით დადგენილი წესით გაერთიანებულია ერთიან სამაგისტრო საგამოცდო ქსელში;

ი) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად სახელმწიფოსგან, უნივერსიტეტისაგან ან სხვა წყაროებიდან მიიღოს სტიპენდია, ფინანსური ან მატერიალური დახმარება, სხვა სახის შეღავათები;

კ) აირჩიოს საგანმანათლებლო პროგრამა;

ლ) მონაწილეობა მიიღოს ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში;

მ) პერიოდულად მოახდინოს აკადემიური პერსონალის მუშაობის შეფასება;

ნ) განახორციელოს ამ წესდებითა და საქართველოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული სხვა უფლებამოსილება.



4. უნივერსიტეტი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სტუდენტებისათვის აწესებს შეღავათებს (გადაადგილების შესაძლებლობა რკინის პანდუსების მეშვეობით, ეზოსა და კიბის უჯრედში) მათი სრულფასოვანი განათლებისათვის აუცილებელი პირობების შესაქმნელად.

5. სტუდენტის მიერ აკადემიური პერსონალის თანდასწრებით გამოთქმული პირადი ინფორმაცია, ასევე, ინფორმაცია საკუთარი შეხედულებების, რწმენისა და პოლიტიკური მრწამსის შესახებ, რომელიც ამ უკანასკნელისათვის ცნობილი გახდა სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას, აგრეთვე, ინფორმაცია სტუდენტის მიმართ დისციპლინური ღონისძიების გატარების შესახებ კონფიდენციალურია, გარდა იმ შემთხვევისა, თუ არსებობს სტუდენტის ნებართვა, ან ადმინისტრაციის კანონიერი ინტერესი დაიცვას სხვისი უსაფრთხოება და კანონით დაცული უფლებები. ინფორმაცია სტუდენტის აკადემიური მოსწრებისა და მის მიმართ დისციპლინური ღონისძიებების გატარების შესახებ უნდა ინახებოდეს განცალკევებულად. სტუდენტის შესახებ ინფორმაციის შენახვისას ადმინისტრაცია ვალდებულია იხელმძღვანელოს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესით.

6. უნივერსიტეტი ვალდებულია უზრუნველყოს სტუდენტის ცოდნის სამართლიანი შეფასება, რისთვისაც შეიმუშავებს სათანადო პროცედურებს.

7. სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველია:

ა) პირადი განცხადება (მიზეზის მითითების გარეშე);

ბ) უცხო ქვეყანაში, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლა, გარდა გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სწავლისა;

გ) ორსულობა, მშობიარობა, ბავშვის მოვლა;

დ) ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება;

ე) ფინანსური დავალიანება;

ვ) აკადემიური შვებულება;

ზ) აკადემიური (პროგრამის და საგნების არ არჩევა) რეგისტრაციის გაუვლელობა.

8. სტუდენტის სტატუსის შეჩერების მაქსიმალური ვადაა 5 წელი.

9. სტატუსის შეჩერების შემთხვევაში სტუდენტი სწავლას აგრძელებს იმ სემესტრიდან, რომლიდანაც შეუჩერდა სტუდენტის სტატუსი.

10. სწავლის საფასურის გადაუხდელობის შემთხვევაში, სტუდენტის სტატუსის შეჩერება სტუდენტს არ ათავისუფლებს სწავლის საფასურის გადახდის ვალდებულებისაგან.

11. სტუდენტის სტატუსის შეჩერებიდან 5 წლის შემდეგ პირს უწყდება სტუდენტის სტატუსი.

12. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველია:

ა) უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში 5 წელზე მეტი ვადით სტატუსის შეჩერება;

ბ) საგანმანათლებლო პროგრამის დასრულება მოცემულ საფეხურზე;

გ) პირადი განცხადება;

დ) შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნების შეუსრულებლობა აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად დადგენილ ვადებში;

ე) უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსით, უნივერსიტეტის შინაგანაწესითა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმებით გათვალისწინებული, სტუდენტის სტატუსთან შეუთავსებელი ქმედების განხორციელება, ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე.

ვ) გარდაცვალება;



ზ) კანონმდებლობით დადგენილი სხვა შემთხვევა.

13. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ სამართლებრივი აქტით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგები დება ბრძანების გამოცემიდან თორმეტი თვის შემდეგ. დროის ამ მონაკვეთში სტუდენტის სტატუსი ითვლება შეჩერებულად და სტუდენტი უფლებამოსილია, ისარგებლოს მობილობის უფლებით.

14. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში, მისი ხელახლა მოპოვება დასაშვებია კანონმდებლობით დადგენილი წესით.

15. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის ან შეჩერების შესახებ ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტს დეკანის წარდგინებით გამოსცემს უნივერსიტეტის რექტორი.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 10 მარტის ბრძანება №41/ნ - ვებგვერდი, 13.03.2017წ.

მუხლი 34. სტუდენტის ვალდებულებები

სტუდენტი ვალდებულია უნივერსიტეტის მიერ დადგენილი პროგრამის მიხედვით ისწავლოს ყველა ის საგანი, რომელიც საკუთარი სურვილით აირჩია და რომლის სწავლება სავალდებულოა, დაიცვას ეს წესდება და შინაგანაწესი.

მუხლი 35. სტუდენტის დისციპლინური პასუხისმგებლობა

1. სტუდენტის მიმართ დისციპლინური წარმოება უნდა იყოს დისციპლინური გადაცდომის პროპორციული და შეიძლება განხორციელდეს შემდეგ შემთხვევებში:

ა) პლაგიატი- ნაშრომში სხვისი აზრისა თუ ნაშრომის ციტირება ავტორის მითითების გარეშე;

ბ) თამბაქოს მოწევა, გარდა სპეციალურად გამოყოფილი ადგილებისა;

გ) უხეში და არაეთიკური დამოკიდებულება, ძალადობა და შეურაცხყოფა სტუდენტების, აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის მიმართ;

დ) შეფასების მიღების მცდელობა გამომცდელზე მუქარით, ფიზიკური ან ფსიქოლოგიური ზემოქმედებით, მოტყუებით, თაღლითობითა თუ სხვა დაუშვებელი ხერხებითა და ქმედებით).

ე) შინაგანაწესით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში.

2. უნივერსიტეტი ვალდებულია შეიმუშაოს სტუდენტის ეთიკის კოდექსი, რომელიც შესაძლებელია აწესებდეს შეზღუდვას სტუდენტის ქცევაზე, თუ ეს დაკავშირებულია საგანმანათლებლო პროცესის წარმართვასთან. უნივერსიტეტი ვალდებულია დეტალურად განსაზღვროს ქცევის წესი, რომელიც იწვევს დისციპლინურ პასუხისმგებლობას.

3. სტუდენტის მიმართ დისციპლინური წარმოების დაწყება არ უნდა ზღუდავდეს სტუდენტის უფლებას, მონაწილეობა მიიღოს სასწავლო პროცესში, გარდა იმ შემთხვევისა, თუ სტუდენტის სასწავლო პროცესში მონაწილეობით იქმნება რეალური საფრთხე მის მიერ ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ერთი ან რამდენიმე სახის ქმედების განმეორებით ჩადენისა და თუ ეს საფრთხეს უქმნის სხვისი უფლებების, ჯანმრთელობის, უნივერსიტეტის საკუთრებისა და უსაფრთხოების დაცვას. სტუდენტის მიმართ დისციპლინური წარმოების საკითხს წევრებს ფაკულტეტის საბჭო. სტუდენტს უფლება აქვს, დაესწროს თავისი საქმის განხილვას.

4. დისციპლინური წარმოების განხორციელებისას სტუდენტს უფლება აქვს:

ა) წერილობითი ფორმით მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება მის მიმართ დისციპლინური წარმოების დაწყების შესახებ;

ბ) დაესწროს დისციპლინური წარმოების საკითხის განხილვას და ისარგებლოს დაცვის უფლებით;

გ) მიაწოდოს უნივერსიტეტის შესაბამის ორგანოს თავის ხელთ არსებული ინფორმაცია და მტკიცებულებები;

დ) მონაწილეობა მიიღოს უნივერსიტეტის შესაბამისი ორგანოს მიერ მოპოვებული მტკიცებულებების გამოკვლევაში;



ე) მოითხოვოს, მის მიმართ დისციპლინური წარმოების საკითხი განხილულ იქნეს საჯარო სხდომაზე.

5. დისციპლინური წარმოების საკითხის განხილვისას მტკიცების ტვირთი აწევს ბრალდების მხარეს. დისციპლინური წარმოების განხორციელების შესახებ გადაწყვეტილება უნდა იყოს დასაბუთებული და ემყარებოდეს საქართველოს კანონმდებლობით, ამ წესდებითა და შინაგანაწესით გათვალისწინებული წესით მოპოვებულ მტკიცებულებებს. ყველა მტკიცებულება, რომლებიც დისციპლინური წარმოების საფუძველია, უნდა გამოიკვილოს ფაკულტეტის საბჭომ.

6. მტკიცებულებების მოპოვება ხდება დისციპლინური წარმოების განმახორციელებელი ორგანოს მიერ დისციპლინური წარმოების განხორციელების პროცესში რა დროსაც საქმეში მონაწილე მხარეები იძლევიან ახსნა-განმარტებებსა და წარადგენენ მათ ხელთ არსებულ მტკიცებულებებს (წერილობითი, ნივთიერი) დისციპლინური წარმოების განმახორციელებელ ორგანოს უფლება აქვს საკუთარი ინიციატივითაც მოიპოვოს/გამოითხოვოს მტკიცებულებები.

7. სტუდენტს უფლება აქვს, სასამართლოში გაასაჩივროს უნივერსიტეტის მიერ მის მიმართ მიღებული გადაწყვეტილება.

მუხლი 36. სტუდენტთა თვითმმართველობა

1. უნივერსიტეტში ფარული კენჭისყრით, საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი არჩევნების საფუძველზე იქმნება ფაკულტეტების მიხედვით არჩეული სტუდენტური თვითმმართველობები.

2. ფაკულტეტებზე არჩეული სტუდენტური თვითმმართველობების ერთობლიობა წარმოადგენს უნივერსიტეტის თვითმმართველობას, რომელიც შეიმუშავებს სტუდენტური თვითმმართველობის დებულებას.

3. სტუდენტური თვითმმართველობა თავისი დებულების შესაბამისად:

ა) უზრუნველყოფს სტუდენტთა მონაწილეობას უნივერსიტეტის მართვაში.

ბ) ხელს უწყობს სტუდენტთა უფლებების დაცვას;

გ) ირჩევს წარმომადგენლებს ფაკულტეტის საბჭოში;

დ) უფლებამოსილია შეიმუშავოს წინადადებები ფაკულტეტის ან უნივერსიტეტის მართვის სისტემისა და სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად, რომელთაც წარუდგენს ფაკულტეტის საბჭოს, წარმომადგენლობით საბჭოსა და აკადემიურ საბჭოს;

ე) განახორციელებს დებულებით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს;

4. უნივერსიტეტის ადმინისტრაციას უფლება არა აქვს ჩაერიოს სტუდენტური თვითმმართველობის საქმიანობაში.

თავი VI

უნივერსიტეტის ბიუჯეტი, ქონება და სახელმწიფო კონტროლი

მუხლი 37. უნივერსიტეტის ბიუჯეტი

1. უნივერსიტეტის მომდევნო წლის ბიუჯეტის პროექტის შემუშავებას კოორდინაციას უწევს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი.

2. უნივერსიტეტის მომდევნო წლის ბიუჯეტის პროექტი შემუშავდება ფაკულტეტებთან და უნივერსიტეტის სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან კონსულტაციით.

3. უნივერსიტეტის ბიუჯეტის პროექტს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, აკადემიურ საბჭოსთან შეთანხმებით, დასამტკიცებლად წარუდგენს წარმომადგენლობით საბჭოს.

4. წარმომადგენლობითი საბჭო განიხილავს წარმოდგენილ ბიუჯეტის პროექტს და ამტკიცებს მას ან შესაბამისი შენიშვნებით უბრუნებს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს.

5. თუ ადმინისტრაციის ხელმძღვანელი დაეთანხმება წარმოდგენილ შენიშვნებს, ბიუჯეტს შენიშვნების გათვალისწინებით ამტკიცებს წარმომადგენლობითი საბჭო.

6. იმ შემთხვევაში, თუ ადმინისტრაციის ხელმძღვანელი არ ეთანხმება წარმომადგენლობითი საბჭოს შენიშვნებს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს უფლება აქვს ბიუჯეტის პირვანდელი ვარიანტი სათანადო



დასაბუთებული დასამტკიცებლად დაუბრუნოს წარმომადგენლობით საბჭოს. წარმომადგენლობითი საბჭოსთვის წარდგენილ დასაბუთებას უნდა ერთოდეს აკადემიური საბჭოს წინადადებები.

7. წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ ბიუჯეტის განმეორებით დაუმტკიცებლობა იწვევს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის უფლებამოსილების შეწყვეტას და ბიუჯეტის დამტკიცება მოხდება ახალშერჩეული ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წარდგინებით.

მუხლი 38. უნივერსიტეტის დაფინანსება

1. უნივერსიტეტი თავისი სტრუქტურული ერთეულებით (უნივერსიტეტის სტამბა) ახორციელებს კანონმდებლობით ნებადართულ დამხმარე ხასიათის სამეწარმეო საქმიანობას. უნივერსიტეტი უფლებამოსილია უზრუნველყოს საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის პროცესში შექმნილი პროდუქციის რეალიზება, ასევე უფლებამოსილია იყოს სამეწარმეო იურიდიული პირის დამფუძნებელი ან/და თანადამფუძნებელი.

2. უნივერსიტეტის დაფინანსების წყაროებია:

ა) სწავლის საფასური, რომელიც იფარება სახელმწიფო სასწავლო გრანტითა და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტით (მხოლოდ აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე);

ბ) გრანტის, შემოწირულების სახით ან ანდერძით მიღებული შემოსავლები;

გ) სამინისტროების მიერ გამოყოფილი პროგრამული დაფინანსება;

დ) სახელმწიფო შეკვეთის შესრულებიდან მიღებული შემოსავალი;

ე) ხელშეკრულების საფუძველზე შესრულებული სამუშაოდან მიღებული შემოსავალი;

ვ) საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის პროცესში შექმნილი პროდუქციის რეალიზების შედეგად მიღებული შემოსავალი.

3. უნივერსიტეტის ბიუჯეტი ყალიბდება დაფინანსების ყველა წყაროს გათვალისწინებით და მოიცავს საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილებს.

4. უნივერსიტეტის ბიუჯეტის შედგენის წესს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წარდგინებით ამტკიცებს უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო.

მუხლი 39. უნივერსიტეტის ქონება და სახელმწიფო კონტროლი

1. უნივერსიტეტის ქონება შედგება მისთვის კანონმდებლობით დადგენილი წესით სახელმწიფოს, კერძო სამართლის ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ გადაცემული ასევე საკუთარი სახსრებით შექმნილი ქონებისაგან.

2. უნივერსიტეტის სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, რომელიც ახორციელებს უნივერსიტეტის საქმიანობის კანონიერების, მიზანშეწონილობის, ეფექტიანობისა და საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის ზედამხედველობას. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო უფლებამოსილია მოსთხოვოს უნივერსიტეტს კონტროლის განსახორციელებლად საჭირო ნებისმიერი მასალისა და ინფორმაციის წარმოდგენა.

3. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს თანხმობით, უნივერსიტეტს შეუძლია განახორციელოს შემდეგი ქმედებები:

ა) უძრავი ქონების შექმნა, უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების გასხვისება და დატვირთვა;

ბ) სესხის აღება;

გ) თავდებობა;

დ) სხვა გადაწყვეტილებები უნივერსიტეტის ქონებასთან დაკავშირებით, თუ ისინი სცილდება ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებს.

4. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს უარი ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული ქმედებების განხორციელებაზე უნდა იყოს დასაბუთებული. უარი შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ სახელმწიფო ორგანოში ან/და სასამართლოში.



5. უნივერსიტეტის უძრავი ქონების ამ მისი ნაწილის შექმნა, გასხვისება ან იჯარით გაცემა შეიძლება მხოლოდ უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს თანხმობით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

5¹. უნივერსიტეტის მოძრავ ქონებასთან დაკავშირებით ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღება, თუ იგი სცილდება საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ფარგლებს, შეიძლება მხოლოდ უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს თანხმობით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

6. ამ მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ ქმედებათა განსახორციელებლად აუცილებელია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს თანხმობა.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 10 მარტის ბრძანება №41/ნ - ვებგვერდი, 13.03.2017წ.

მუხლი 40. უნივერსიტეტის ბალანსის შედგენა და შემოწმება

უნივერსიტეტი ვალდებულია, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით აწარმოოს საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის აღრიცხვა-ანგარიშგება, შეადგინოს ბალანსი და დასამტკიცებლად წარუდგინოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს. უნივერსიტეტის წლიურ ბალანსს ამოწმებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დანიშნული დამოუკიდებელი აუდიტორი.

თავი VII

რეორგანიზაცია, ლიკვიდაცია

მუხლი 41. უნივერსიტეტის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

1. უნივერსიტეტის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. უნივერსიტეტის რეორგანიზაციასა და ლიკვიდაციას, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ახორციელებს საქართველოს მთავრობა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარდგინებით.

თავი VIII

წესდებაში ცვლილების შეტანა

მუხლი 42. წესდებაში ცვლილების შეტანის წესი

1. წესდებაში ცვლილების პროექტს შეიმუშავენ და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დასამტკიცებლად წარუდგენს წარმომადგენლობითი საბჭო.

2. წარმომადგენლობით საბჭოსთან ერთად წესდებაში ცვლილების პროექტის განხილვაში მონაწილეობს აკადემიური საბჭო.

თავი IX

გარდამავალი დებულებანი

მუხლი 43. პროფესორისათვის წასაყენებელი მოთხოვნები

უნივერსიტეტის ავტორიზაციის ვადის ამოწურვამდე პროფესორი არის დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 10 მარტის ბრძანება №41/ნ - ვებგვერდი, 13.03.2017წ.

